

# გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge



გვ.5

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფოთის პორტში 80 კილოგრამამდე „ჰეროინი" ამოიღო. დაკავებულია 1 პირი**

**ვაკეში, კაფე „სტრადაში" კაცი ჩაცხრილეს**



გვ.5

პარასკევი, 26 მაისი, 2023 №102 (9138) ფასი: 80 თეთრი

# „ევროკავშირის დროშის ჩამოხსნით, „ოცნება" მოქალაქეებს სამაგიეროს უხდის"




გვ.2

ლაშა ჩხარტიშვილი: „კახა კალაძეზე უფრო დიდი მოღალატე ამ ხელისუფლებაშიც კი არ მეგულება"



**„ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ქვეყნის მისწრაფება ასე უგულებელყოფილი იქნებოდა სახელმწიფოს უდიდესი დღესასწაულის, მისი დამოუკიდებლობის დღეს"**



გვ.3

## გიორგი გამსახურდია: „არც ერთ მტერზე ნაკლები არ დაუშავებია ჩემს ბიოლოგიურ დედას"



გვ.4

## „რუსეთს ძალიან მძიმე პრობლემები ელის"

## ჯუანშერ ბურჭულაძის ცოლს დედამთილმა 30.000 დოლარი აჩუქა



გვ.3

## როგორი იყო მოსახლეობის ხარჯები და შემოსავლები 2022 წელს საქართველოში



გვ.2



გვ.4

**გიგა კობალაძე ზაზა შენგელიას ბრალდებებს პასუხობს**



გვ.5

**ქალს რვა კვერცხი ლატარიის გამარჯვებაში დაეხმარა**



გვ.5

**65-მა ქალმა ფოსტით ნახმარი პრეზერვატივები მიიღო**

3 რა წერილი გაუგზავნა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქს

5 სასტიკი მკვლელობა ქონების დაუფლების მიზნით — კახეთში მომხდარი დანაშაულის ახალი დეტალები

5 ზაზა ლომინაძე: „ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ადამიანები ემიგრაციაში კი არ მიდიოდნენ, არამედ თავისუფალ ბაზარზე უფრო მეტი და მეტი ადამიანი დასაქმდეს"

6 კურტ ვოლკერის სენსაციური განცხადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ევროკავშირის დროშის ჩამოხსნით „ოცნება“ მოქალაქეებს სამაგიეროს უხდის“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „კახა კალაძეზე უფრო დიდი მოღალატე ამ ხელისუფლებაშიც კი არ მეგულება“

ნათია ხურცილავა



„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ლაშა, კახა კალაძე გამოეხმაურა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ევროკავშირის დროშების არ გამოფენას. ის ამბობს, რომ კონსტიტუციაში ევროპული მომავალი გვიწერია სწორედ „ქართული ოცნების“ ინიციატივით. თუმცა, იქვე ამატებს, რომ, პირველ რიგში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გვიწერია.***

– კახა კალაძეზე უფრო დიდი მოღალატე ამ ხელისუფლებაშიც კი არ მეგულება. მან კობახიძესაც კი გადააჭარბა თავისი მოღალატეობრივი, გაიძვერული დამოკიდებულებით ქვეყნისადმი.

უკვე აღარც კი მალავენ, რომ რეჟიმი მზად არის რუსეთთან ღრმა და ყოვლისმომცველი ურთიერთობისთვის. ეს ხელისუფლება მზად არის ევრაზიის კავშირში შესასვლელადაც კი. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ქვეყნის მისწრაფება ასე უგულებელყოფილი იქნებოდა სახელმწიფოს უდიდესი დღესასწაულის, მისი დამოუკიდებლობის დღეს. ეს არის წითელი ნაჭრის აფრიალება იმ ხალხისთვის, რომელმაც თავგანწირვით იბრძოლა მარტის დღეებში. ამ ხალხს იწვევენ, ამ ხალხს, ამ ქვეყნის მოქალაქეებს უხდიან სამაგიეროს. ამ ხალხის მონაპოვარია დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობის დღე და არა ბიძინა ივანიშვილის.

**„ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ქვეყნის მისწრაფება ასე უგულებელყოფილი იქნებოდა სახელმწიფოს უდიდესი დღესასწაულის, მისი დამოუკიდებლობის დღეს“**

წარმოგიდგენიათ, რა დონის ნაძირლობაა, როდესაც პარალელს ავლებ ევროკავშირზე, ამ ქვეყნის დასავლურ პერსპექტივაზე და აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნებაზე. პუტინი რომელ აფხაზეთსა და ცხინვალს დაგვიბრუნებს?! როგორც ყირიმი დააბრუნა, ისე დაგვიბრუნებს. ოკუპანტი ტერიტორიებს დაგვიბრუნებს?! წმინდა წყლის დემაგოგია და მავნებლური პროპაგანდაა იმაზე საუბარი, რომ დასავლური კურსის ალტერნატივაა თითქოს ტერიტორიების დაბრუნება. არავინ არ უნდა მოტყუვდეს ამ პროპაგანდით. თუმცა, ხალხი ბრძენია და არ მოტყუვდება. ეს ამათ ჰგონიათ, რომ ხალხს მოატყუებენ, მაგრამ ძალიან მწარედ ცდებიან.

სწორედ დასავლეთი, სწორედ ნატო და ევროკავშირი არის გარანტია, როგორც სახელმწიფო გადავრჩეთ და ტერიტორიული მთლიანობა აღვიდგინოთ. სწორედ დასავლეთთან ინტეგრაცია თუ გადაგვარჩენს რუსეთის ხახისგან.




***– „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ სტატუსს მივიღებთ, ყველაფერს აკეთებენ 12 პუნქტის შესასრულებლად. მოგვცემენ სტატუსს?***

– ეს გამორიცხულია იმ ფონზე, რაც დღეს ქვეყანაში ხდება სწორედ ამ ხელისუფლების ასეთი ოდიოზური, გამომწვევი ნაბიჯების გათვალისწინებით. ივანიშვილის რეჟიმი აღარ მალავს, რომ მათ არ უნდათ ევროკავშირის სტატუსი. ევროკავშირის დროშების არ გამოფენაც ოდიოზური, გამომწვევი გადაწყვეტილებაა. ფრენების აღდგენაც სწორედ ამას ემსახურება. პუტინს, ერთ მშვენიერ ღამეს კი არ დაესიზმრა და უცებ კეთილი კი არ გახდა, რომ მოეხსნა სავიზო რეჟიმი და აღედგინა ფრენები. ხომ ყველა ხვდება, რა არის ჩანაფიქრი, რა პოლიტიკაა ეს.

***– რა არის ჩანაფიქრი?***

– უვადოდ ძალაუფლების შენარჩუნება სწორედ რუსეთთან ურთიერთობის, პუტინის წყალობით. ვინ ვინ და ივანიშვილი ყველაზე კარგად ხვდება, რომ ამ პოლიტიკით დასავლეთსა და ევროკავშირთან ვერ იქნება და ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს. ესენი მზად არიან ყველა პირობით მიიტაცონ ძალაუფლება. ყველაფერი სწორედ ამას ემსახურება. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, ნატოს გენერალური მდივნის ოფიციალურ წარმომადგენელს რომ არ შეხვდა ირაკლი ღარიბაშვილი.

***– ეს რა გზავნილია?***

– რომ ამ ხელისუფლებას არ აინტერესებს ნატო და ამ ქვეყნის ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. არც ნატოს სამიტზე არ აპირებენ წასვლას და არც ევროკავშირის მომავალი პერსპექტივები აინტერესებთ. მათი ინტერესი მხოლოდ რუსეთი და რუსული მისწრაფებებია. რუსეთისთვის ფართოდ კარის გაღება და ყველა კარის ჩარაზვა დასავლური პერსპექტივისთვის. ამ ინტერესით ცხოვრობს ეს ხალხი. ეს არის მათი მიზანი. სხვა რას ემსახურება ის მოღალატეობრივი პროპაგანდა, რომელსაც ასე ურცხვად ეწევიან. ამ მიმართულებით კალაძეს ბადალი არ ჰყავს. თურმე ნუ იტყვით და პუტინი, რომელიც უკრაინაში ბავშვების სიცოცხლეს არ ინდობს, ოკუპირებულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებს?! ეს ზღაპრები მოუყვნენ საკუთარი ოჯახის წევრებს. უფრო და უფრო აძლიერებენ ამ პროპაგანდას. ეს არის მოღალატეობრივი და მავნებლური პროპაგანდა. ამ პოლიტიკაში კალაძეს ღარიბაშვილი და კობახიძეც კი ვერ ეწევიან. თუმცა, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს პრემიერი რომ არ ხვდება, ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია.

მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო გაწუდგა პუტინს და სრულ იზოლაციაში მოაქციეს, ივანიშვილი და ეს რეჟიმი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელმაც გადაწყვიტა არა მხოლოდ ურთიერთობის აღდგენა და დათბობა, მთელ ქვეყანას, სახელმწიფოს მიაქანებენ რუსეთთან ერთად უფსკრულში. ივანიშვილი თუ დაკვეთას არ ასრულებს, პუტინის სიტუაციური მოკავშირეა. ყველაფერი ამ კავშირს ემსახურება. არა მგონია, ხალხი ამას ასე შეეგუოს. დარწმუნებული ვარ, ეს ხალხი ადვილად არ აპირებს არაფრის დათმობას, ამ ქვეყნის მომავლის დათმობას.

# როგორი იყო მოსახლეობის ხარჯები და შემოსავლები 2022 წელს საქართველოში

2022 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების (ფულადი და არაფულადი სახსრების) მოცულობამ 1 596.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17.3 პროცენტით მეტია. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

„საქსტატის“ 2022 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე 19 პროცენტით გაიზარდა და 1.453.8 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 18.6 პროცენტით გაიზარდა და 432.7 ლარს გაუტოლდა.

– გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები, რომლის წილიც 2022 წელს, გასულ წელთან შედარებით, 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 86.9 პროცენტი შეადგინა.

ქვეყნის მოსახლეობის ჯამური საშუალო თვიური შემოსავლები ქალაქის ტიპის დასახლებებში 14.9 პროცენტით გაიზარდა და 967.9 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 21.4 პროცენტით გაიზარდა და 628.1 მილიონი ლარი შეადგინა.

2022 წელს ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში კვლავ მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის წილი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 46.1 პროცენტი შეადგინა. ასევე გაზრდილია თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი 2.2 პროცენტული პუნქტით და 12.4 პროცენტს უტოლდება.

პენსიებიდან, სტიპენდიებიდან და სოციალური დახმარებებიდან მიღებული შემოსავლების წილი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.6 პროცენტი შეადგინა.

2022 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიურმა ხარჯებმა 1.551.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20.3 პროცენტით მეტია.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე 22 პროცენტით გაიზარდა და 1.413.6 ლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულზე 21.7 პროცენტით გაიზარდა და 420.7 ლარს გაუტოლდა.

2022 წელს, წინა წელთან შედარებით, შინამეურნეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში გაიზარდა 1.4 პროცენტული პუნქტით და 71.5 პროცენტი შეადგინა.



ქვეყნის მოსახლეობის ჯამური ხარჯები ქალაქის ტიპის დასახლებებში 19.2 პროცენტით გაიზარდა და 951.5 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 22.2 პროცენტით გაიზარდა და 600.4 მილიონი ლარი შეადგინა.

2022 წლის მონაცემებით, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში კვლავ ყველაზე დიდი წილი სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე გაწეულ ხარჯებს უჭირავს და 41.8 პროცენტს შეადგენს, რაც 1.9 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, – ნათქვამია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

# რამდენს ხარჯავენ საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ ერთ ვიზიტზე — 1-ელ კვარტალში ჯამური ხარჯი 372.5 მლნ ლარი იყო



2023 წლის 1-ელ კვარტალში საქართველოს ტერიტორიიდან დაფიქსირდა საქართველოს რეზიდენტი მოგზაურების 585.8 ათასი გასვლა საზღვარგარეთ, რაც 2.2-ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, გასვლების უდიდესი ნაწილი, 46.3 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ.

– აღნიშნული რაოდენობიდან საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 448.4 ათასი შეადგინა, რაც 2.1-ჯერ მეტია 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელდა 255.4 ათასი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 76.9 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ვიზიტების უმრავლესობა, 49.1 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში შემავალი საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ. ქალების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მთლიანი ვიზიტების 45.4 პროცენტს შეადგენდა.

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თურქეთსა და სომხეთში, შესაბამისად, 234.1 ათასი და 64.3 ათასი ვიზიტი.

2023 წლის 1-ელ კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 6.1 ღამე შეადგინა, რაც 2022 წლის 1-ელ კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე (6.4 ღამე) 5.4 პროცენტით ნაკლებია. განხორციელებული ვიზიტების 98 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს.

2023 წლის 1-ელ კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 372.5 მილიონ ლარს გაუტოლდა, რაც 30.7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ვიზიტზე საშუალო ხარჯი 2022 წლის 1-ელ კვარტალთან შედარებით 37 პროცენტით შემცირდა და 830.8 ლარი შეადგინა, – აღნიშნულია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ხაფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## მიხეილ სააკაშვილი: „დღეს ჩემთან იმყოფებოდა საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, ბევრი ვისაუბრეთ...“



მიხეილ სააკაშვილთან საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი კასიანოვი იმყოფებოდა. ინფორმაციას ამის შესახებ მესამე პრეზიდენტი ავრცელებს:

– დღეს ჩემთან იმყოფებოდა საქართველოში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ანდრეი კასიანოვი, რომელიც ასრულებს თავის მუშაობას საქართველოში, ბევრი ვისაუბრეთ უკრაინის და საქართველოს პერსპექტივებზე, დავემშვიდობე და მადლობა გადავუხადე ორი ქვეყნისთვის გაწეული სამუშაოსთვის, – ნათქვამია მიხეილ სააკაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, ოთხწლიანი დიპლომატიური სამსახურის შემდეგ, კასიანოვი საქართველოს ტოვებს.

## ჯუანშერ ბურჭულაძის ცოლს დედამთილმა 30.000 დოლარი აჩუქა



ჯუანშერ ბურჭულაძის ცოლს დედამთილმა 30.000 დოლარი აჩუქა. საჩუქრის შესახებ ინფორმაცია თავად თავდაცვის მინისტრმა ასახა 2023 წლის 23 მაისს შევსებულ დეკლარაციაში.

დეკლარაციის მიხედვით, გასულ წელს ჯუანშერ ბურჭულაძის ცოლმა, ნინო მხეიძემ დედამთილისგან იმაზე მეტი თანხა მიილო, ვიდრე ცოლქმარმა მთელი წლის განმავლობაში გამოიმუშავა. კერძოდ, მინისტრმა ბურჭულაძემ 2022 წელს ხელფასის სახით 68.834,16 ლარი, მისმა ცოლმა კი – 1.532 ლარი აიღო.

2022 წელსვე ბურჭულაძემ 23 ათას დოლარზე მეტი ოდენობის თანხა შეიტანა ორ ბანკში, იპოთეკური სესხის დასაფარად.

მინისტრს 8 შვილი ჰყავს. აქედან ხუთის შესახებ მონაცემები შეყვანილია დეკლარაციაში – მათგან ერთ-ერთის სწავლის საფასური ბებიამ 5.000 ლარით დააფინანსა.

## რა წერილი გაუგზავნა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქს



მსოფლიო საეკლესიო სიახლენის ცნობით, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქ კირილეს ანგელოზის დღეზე მისალოცი წერილი გაუგზავნა.

– ილია მეორემ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს ანგელოზის დღეზე მიტროპოლიტ ნიკოლოზის გარდა, მისალოცი წერილიც გაუგზავნა. საპატრიარქომ კირილესადმი გაგზავნილი მისალოცი წერილი არ გაასაჯაროვა. მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა დაადასტურა, რომ მოსკოვში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით იმყოფება, – ნათქვამია ინფორმაციაში. შეგახსენებთ, საქართველოს საპატრიარქომ უარყო მეუფე ნიკოლოზის მოსკოვში ვიზიტთან კავშირი და განაცხადა, რომ ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი რუსეთში კერძო ვიზიტით იმყოფებოდა.

## საშუალოდ 1000-ლარიან შეღავათს მივიღებთ ცვლილებით – რას ითხოვენ ავტოიმპორტიორები?



ავტოიმპორტიორები, რომელთაც ქვეყანაში მანქანები დაშლის მიზნით შემოჰყავთ, ავტომობილის განსხვავებული წესით დაბეგვრას ითხოვენ. აღნიშნული საკანონმდებლო წინადადებით ავტომობილების იმპორტიორთა ასოციაციამ პარლამენტს უკვე მიმართა.

– არსებული პრაქტიკით, იმპორტიორს, რომელიც ავტომობილების ნაწილებზე მუშაობს, უწევს 400-500 ან ზოგან 600 დოლარი გადაიხადოს იმპორტიორ ქვეყანაში, დააშლევინოს ავტომობილი და ისე შემოიტანოს ჩვენს ქვეყანაში. ან უწევს შემოიყვანოს მთლიანი ავტომობილი, განაბაჟოს ჩვეულებრივ აქციზის გადასახადით, რაც შესაბამის ავტომობილზეა დადგენილი და შემდეგ დაშალოს ნაწილებად.

იმის გამო, რომ დღეის მდგომარეობით, ლოგისტიკური ხარჯები საკმაოდ გაიზარდა და ეს 400-600 დოლარი რთული გადასახდელია, ვთავაზობთ სახელმწიფოს, ავტომობილის ჩამოყვანის შემთხვევაში, დეკლარირებისას იმპორტიორმა თავად გადაწყვიტოს, ეს ავტომობილი სჭირდება როგორც ნაწილები, თუ როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალება და ამის შესაბამისად, მოხდეს მისი დეკლარირებაც. ამ ცვლილებით იმპორტიორები, საშუალოდ, 1.000-ლარიან შეღავათს მიიღებენ, – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ ავტოიმპორტიორთა ასოციაციის დამფუძნებელმა ალექსი ნონიაძემ.

## თბილისში საცხოვრებელი ბინების გაყიდვები 27%-ით შემცირდა



2023 წლის აპრილში თბილისში საცხოვრებელი ბინების ტრანზაქციების რაოდენობამ 2 537 ერთეული შეადგინა და წინა წლის აპრილთან შედარებით 27%-იანი კლება დაფიქსირდა. ბაზრის ზომა კი 22%-ით, 141 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა. ამის შესახებ „ქოლიერსის“ კვლევაშია აღნიშნული.

მათივე ცნობით, 2023 წლის აპრილში, გასული წლის აპრილთან შედარებით, თბილისში ახალ პროექტებში ტრანზაქციების 31%-იანი კლება ფიქსირდება, ძველ პროექტებში კი მაჩვენებელი 18%-ით არის შემცირებული.

– 2023 წლის აპრილში, თბილისში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ახალაშენებულ ეკონომსეგმენტის ბინებზე მოთხოვნა 42%-ით შემცირდა, მედიუმ და პრემიუმ სეგმენტში კი მაჩვენებლის 9% და 2%-იანი კლება დაფიქსირდა.

2023 წლის აპრილში თბილისში ახალაშენებული ბინების საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10%-ით გაიზარდა გარეუბნებსა და ფართო ცენტრში, ქალაქის ცენტრში კი 1%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

2023 წლის აპრილში თბილისში ძველი ბინების საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი 5%-ით გაიზარდა გარეუბნებში, ფართო ცენტრში 2%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ქალაქის ცენტრში კი მაჩვენებელი 1%-ით შემცირდა, – ნათქვამია „ქოლიერსის“ კვლევაში.

## კახა კალაძე: „ბიძინა ივანიშვილს ორ რამეს ვერ პატიობენ – ეს არის პატრიოტიზმი და ხალხის სიყვარული“



თბილისის მერი კახა კალაძე აცხადებს, რომ ის უსამართლობა, რაც პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ ხდება, გამოწვეულია იმით, რომ მისთვის უმთავრესი საქართველოს ინტერესებია.

როგორც მან შესაბამისი კითხვის საპასუხოდ განაცხადა, ბიძინა ივანიშვილს ქვეყნისთვის ძალიან ბევრი კარგი პროექტი აქვს განხორციელებული, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი 2011 წელს მისი პოლიტიკაში მოსვლა იყო.

– ბიძინა ივანიშვილი არის მეცენატი, ქველმოქმედი, რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის, ხალხისთვის ძალიან ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული. ამ ადამიანის უშუალო ჩართულობით განხორციელებული ძალიან ბევრი პროექტი შემიძლია ჩამოვთვალო: იგივე ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა, სკოლების, ბაღების მშენებლობა. არ ვიცი, რომელ ერთზე ვისაუბრო, თუმცა ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ 2011 წელს, მან პოლიტიკაში შემოსვლასთან დაკავშირებით, კონკრეტული ნაბიჯი გადადგა. ისეთ ადამიანს, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, თავისუფლად შეეძლო ამ ყველაფერზე უარი ეთქვა, წასულიყო ნებისმიერ ქვეყანაში და მშვიდად, ყოველგვარი პრობლემების გარეშე ეცხოვრა, მაგრამ ის შეყვარებულია თავის ქვეყანაზე, ხალხზე. ის შემოტევები და უსამართლობა, რაც დღეს ამ ადამიანის მიმართ ხდება, გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზის გამო – ვერ პატიობენ ორ რამეს: ეს არის პატრიოტიზმი და ხალხის სიყვარული“ – განაცხადა კახა კალაძემ.

## გიორგი გამსახურდია: „არც ერთ მტერზე ნაკლები არ დაუშავებია ჩემს ბიოლოგიურ დედას“



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უმცროსი შვილის, გიორგი გამსახურდიას განცხადებით, არც ერთ მტერზე ნაკლები, ზვიადზე და ჩვენს ოჯახზე არ დაუშავებია ჩემს ბიოლოგიურ დედას. ამის შესახებ ის „ტვიტერზე“ წერს.

გიორგი გამსახურდიას თქმით, მისი ბიოლოგიური დედის მხრიდან, აბსურდული სარჩელები არ წყდება.

– სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, არც ერთ მტერზე ნაკლები, ზვიადზე და ჩვენს ოჯახზე არ დაუშავებია ჩემს ბიოლოგიურ დედას. რასაც, დღევანდელი დღის ჩათვლით აგრძელებს. ამ ჯერზე, ჩემი დაუძლურებული ძმის წინააღმდეგ. ყოველდღიურად არ წყდება მისი აბსურდული სარჩელები, რომელიც ანელებს ცოტნეს რეაბილიტაციას, – წერს გიორგი გამსახურდია.

## 15 ივნისიდან Georgian Airways-ი რუსეთის მოქალაქეებისთვის ევროპის მიმართულებით ტრანზიტულ ფრენებს იწყებს



Georgian Airways-ი რუსეთის მოქალაქეებისთვის ევროპის მიმართულებით ტრანზიტულ ფრენებს იწყებს. ამის შესახებ რუსული RTVI წერს.

როგორც კომპანიის დამფუძნებელი, თამაზ გაიაშვილი აცხადებს, გეგმაშია ხუთი ევროპული ქალაქის – მილანის, პარიზის, ვენას, ლარნაკას და სალონიკის დამატება.

– ვფიქრობ, ამ მარშრუტებზე საკმარისად მაღალი მოთხოვნა იქნება. ფრენები დაიწყება 15 ივნისს, – განუცხადა RTVI-ს თამაზ გაიაშვილმა.

მან ასევე დასძინა, რომ აუცილებლად შეინარჩუნებს საჰაერო კომუნიკაციას რუსეთთან.

– საქართველოს მთავრობა ძალიან თბილად მიესალმა ამ გადაწყვეტილებას. ღმერთმა ქნას, რომ ეს აღარასოდეს შეწყდეს, – განაცხადა გაიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის 4-წლიანი პაუზის შემდეგ ავიამიმოსვლის აღდგენის ბრძანება ვლადიმერ პუტინმა 10 მაისს გასცა.

## სააფთიაქო ნარკომანიის ფაქტები 17 მოქმედ აფთიაქში



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, 17 მოქმედ აფთიაქში „სააფთიაქო ნარკომანიის“ ფაქტები გამოვლინდა.

უწყების ინფორმაციით, გამოძიების შედეგად, ამოღებულია დიდი ოდენობით ფსიქოტროპული მედიკამენტი, რეალიზაციიდან მიღებული თანხა, ინფორმაციის შემცველი კომპიუტერული ტექნიკა და დოკუმენტაცია.

– გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ხსენებულ სააფთიაქო დაწესებულებებს არ გააჩნდათ საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ნებართვები, საიდანაც რეცეპტის გარეშე ხდებოდა სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაცია“ – წერია უწყების განცხადებაში. აღნიშნული დანაშაული ისჯება საქართველოს სს კოდექსის 192-ე მუხლით, თავისუფლების აღკვეთით 1-დან 3 წლამდე ვადით.

## პენტაგონი მხარს უჭერს უკრაინისათვის F-16-ის გადაცემას



აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო მხარს უჭერს უკრაინისათვის F-16-ის ტიპის ავიაგამანადგურებლების გადაცემას. ამის შესახებ იტყობინება გამოცემა „პოლიტიკო“.

– ჩვენ უკრაინისათვის F-16-ის ტიპის ავიაგამანადგურებლების გადაცემას მივესალმებით, – განუცხადა „პოლიტიკოსს“ პენტაგონის წარმომადგენელმა.

## როკ-ენ-როლის დედოფალი გარდაიცვალა

გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი მსახიობი თინა ტერნერი (1939-2023). ის 83 წლის იყო.

ტერნერმა სახელი გაითქვა როკ-ენ-როლის შესრულებით. ამიტომ მას როკ-ენ-როლის დედოფალსაც უწოდებდნენ. ტერნერი მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი იყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# „რუსეთს ძალიან მძიმე პრობლემები ელის"

მარიამ მჭედლიშვილი

## „დიდი შვიდეულის ლიდერები ამბობენ, რომ ეს ომი უნდა დამთავრდეს რუსეთის ჯარების აბსოლუტური გამოყვანით უკრაინის ტერიტორიიდან"

მსოფლიო თანდათან უფრო მკაცრი ხდება აგრესორი რუსეთის მიმართ. ყალიბდება ახალი პოლიტიკური წესრიგი. მიდის საუბარი იმაზე, რომ რუსეთის ფედერაცია დღევანდელი სახით ვეღარ იარსებებს. ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი.



***– ბოლო ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტ ზელენსკის უთვალავი ვიზიტი ჰქონდა. ყველაზე მოულოდნელი, ალბათ, საუდის არაბეთში ჩასვლაა. რას ნიშნავს ზელენსკის ვიზიტი საუდის არაბეთში?***

– არსებობს ქვეყნების მთელი წყება, რომლებიც იკავებენ „პოზიტიური ნეიტრალიტეტის" პოზიციას. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად, არაბეთის რეგიონსა და სამხრეთ ამერიკაში. საჭიროა მათთან მუშაობა, იმის ახსნა, რომ ამ ომის არასწორი ფინალი მოიტანს პრობლემებს არა მარტო ევროპის კონტინენტზე, არამედ, მოიცავს სხვა უამრავ ქვეყანას.

დღეს რუსეთი ანგრევს საერთაშორისო ურთიერთობის სტრუქტურას. დიახ, ის (სტრუქტურა) არ ყოფილა იდეალური, მაგრამ ესა თუ ის წესი ქვეყნებს აძლევდა საშუალებას, მიჰყოლოდნენ გარკვეულ ხაზს ერთმანეთთან ურთიერთობაში.

არსებობს სურვილი, რომ ამ ომის ბუნება ავუხსნათ არაბეთის რეგიონის ქვეყნებს. რუსეთი ყველგან აგებს დიპლომატიურ კონფლიქტებს, არ დომინირებს, არქაულად გამოიყურება საერთაშორისო ტრიბუნებზე, ჩვენ კი ინფორმაციულად ვცდილობთ, რომ ომისა და მშვიდობის საკითხებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ ის ქვეყნები, რომლებიც მოგვარებაზე დაჟინებით გველაპარაკებიან.

***– შეგვიძლია თუ არა ველოდოთ რაიმე სხვა დახმარებას არაბული სამყაროდან, ჰუმანიტარულის გარდა?***

– რუსეთმა მოახდინა (წინა პერიოდში) საკუთარი ინტერესების ინტეგრირება მთელ რიგ რეგიონებში, ის აფინანსებდა ბევრ პროგრამას, აყალიბებდა ლობისტურ ქსელებს, ყიდულობდა სხვადასხვა სახელმწიფოს ელიტებს. დღეს ამის მოშლა ძალიან ძნელია.

რეალურად, დღეს მიმდინარეობს გლობალური პოლიტიკური სივრცის გარდაქმნა. ბევრ იმ ქვეყანას, რომელიც ასე თუ ისე რუსეთზე იყო ორიენტირებული, უხდება ამ ყველაფრის ნგრევა.

ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნები, რომლებიც ოდესღაც რუსეთს უჭერდნენ მხარს ან იკავებდნენ „პოზიტიური ნეიტრალიტეტის" პოზიციას, გახდნენ მართლა ნეიტრალურები და მაქსიმალურად დისტანცირდნენ რუსეთის ფედერაციისაგან. ეს უკვე წარმატება იქნება, ხოლო თუ ისინი მონაწილეობას მიიღებენ ჰუმანიტარულ და ფინანსურ პროექტებში უკრაინის მხარდასაჭერად, ეს კიდევ უფრო უკეთესი იქნება.

სამხედრო დახმარების თვალსაზრისით, ჩვენ ორიენტირებული ვართ ნატოს ბლოკზე, როგორც ძირითად პარტნიორზე.

***– ისეთი განცდაა, თითქოს მსოფლიო თავის მოქმედებებს ამზადებს უკრაინული კონტრშეტევის შემდგომი პერიოდისთვის, თითქოს ისინი ახმოვანებენ საკუთარ პირველ ნაბიჯებს მომავალ ახალ სამყაროში, სადაც არ არის რუსეთის ფედერაცია.***

– იქნება ახალი მსოფლიო, სადაც არ იარსებებს რუსეთის ფედერაცია ახლანდელი სახით. ასე იქნება, მაგრამ ნაადრევად მეჩვენება იმაზე საუბარი, რომ უკრაინის კონტრშეტევის ბედი გადაწყვეტილია ყველა პოზიტიური შედეგის თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ ველით. ჩვენ გვინდა, რომ ეს შედეგები მაქსიმალურად სწრაფი და პოზიტიური იყოს. თუმცა, უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის მძიმე სამუშაო, რომელიც მხოლოდ უკრაინის არმიის შესასრულებელია.

მოსაფიქრებელია საერთაშორისო ურთიერთობის ახალი ფორმატები. რუსეთმა აჩვენა, რომ არაფრად აგდებს საერთაშორისო სამართალს. ახალმა ფორმატებმა უნდა უზრუნველყონ მსოფლიო კონსტრუქციის სტაბილურობა.



დიდი შვიდეულის წევრი ქვეყნების სამიტის სხდომებზე ხიროსიმაში გახმიანდა ფუნდამენტური განცხადებები, რომლებიც განსაზღვრავს ამ ომის სწორ ფინალს. დიდი შვიდეულის ლიდერები ლაპარაკობენ, რომ ეს ომი უნდა დამთავრდეს რუსეთის ჯარების აბსოლუტური გაყვანით უკრაინის ტერიტორიიდან. ეს არის ახალი სტატუს-კვოს ფიქსაცია. ეს ყველაფერი კარდინალურად შეცვლის პოლიტიკურ ლანდშაფტს, რომელშიც რუსეთი იმყოფება.

***– ამას წინათ ჩინეთმა ვლადივოსტოკი თავის შიდა პორტად გამოაცხადა. რუსები ამაზე ხმას არ იღებენ. ეს რისი მანიშნებელია?***

– რუსეთს ძალიან დიდი პრობლემები ელის. რაც უფრო სწრაფად გამოვა რუსეთის ფედერაცია უკრაინიდან, მით მეტი შანსია, რომ მას ექნება რბილი სატრანზიტო გზა, ანუ ელიტის განახლება უფრო რბილად ჩაივლის.

თუმცა, რუსეთი ადეკვატური სახელმწიფო არაა. იქ არიან ისეთი პერსონაჟები, როგორიცაა, მაგალითად, პატრუშევი. პატრუშევი გაიძახის, რომ უკრაინისათვის იარალის გამოცემა საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. ეს კაცი, თანამზრახველებთან ერთად თავს ესხმის, უტევს ქვეყანას, ჟლეტს მოქალაქეებს და თან აცხადებს, მათ იარალი არ მისცეთო.

თუ ადამიანი ომის დაწყებიდან 450 დღის გასვლის შემდეგ აგრძელებს ამის ლაპარაკს, ის განსასჯელის სკამზე უნდა მოხვდეს.

## რუსეთი ცეცხლშია გახვეული



როგორც ცნობილია, ბელგოროდის ოლქში პუტინმა რეგულარული არმიის ნაწილები გადასხა. რუსმა მეამბოხეებმა მტრის ჭარბი ძალების ზეწოლის წინაშე უკან დაიხიეს და უკრაინის ტერიტორიაზე გადავიდნენ.

ბელგოროდის გარდა, პარტიზანები კურსკისა და ბრიანსკის ოლქებშიც გააქტიურდნენ. ერთი-მეორის მიყოლებით გაისმის აფეთქებები. მიმდინარეობს თავდასხმა ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენლებზე.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შენობას ხანძარი გაუჩნდა. ამის თაობაზე იუწყება რბკ-უკრაინა.

– ხანძარი სამინისტროს ერთ-ერთ აივანზე გაჩნდა, – ნათქვამია შეტყობინებაში.

თანახმად ინფორმაციისა, შემთხვევის ადგილზე მუშაობენ მეხანძრეები.

## ზელენსკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1. უკრაინის ახალი თვითმფრინავებით აღჭურვა; 2. უკრაინელი პილოტების მომზადება ახალი თვითმფრინავების მართვისათვის; 3. უკრაინული არმიის ტყვიაწამლითა და საბრძოლო მასალით უზრუნველყოფა.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ უკრაინული არმიის სარდალი, გენერალი ზალუჟნი, უშიშროების საბჭოს მდივანი დანილოვი, გენერალი სირსკი. შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა თავად ზელენსკიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

# გიგა კობალაძე ზაზა შენგელიას ბრალდებებს პასუხობს

**საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელი გიგა კობალაძე „ბრავო რექორდსის" ხელმძღვანელის, ზაზა შენგელიას ბრალდებებს პასუხობს:**

– გავეცანი აუდიტის დასკვნას, რომელიც ჯერ საჯაროდ ააფრიალეს და შემდეგ გაგვაცნეს. გაცნობამდე, შეგნებულად არაფერი დავწერე. როგორც მოსალოდნელი იყო, დარღვევები არ გამოვლინდა და დასკვნაც მოდიფიცირებულია და არა უარყოფითი. რამე დასამალი რომ ყოფილიყო, აუდიტს არ ჩავატარებინებდით. კანონით, საქპატენტს ჩვენთან აუდიტის ჩატარების უფლება არ აქვს, რის გამოც თანხმობა გვთხოვა.

აშკარაა, კიდევ ერთი რუსული კანონის მიღების მცდელობა. 4 წელზე მეტია, რუსეთი აქტიურად ცდილობს ხელში ჩაიგდოს კიდევ ერთი კონტროლის მექანიზმი საქართველოში – საავტორო უფლებების სფერო, რისთვისაც უკანონო საავტორო უფლებების ორგანიზაცია შექმნა და მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე მილიონი დოლარი დახარჯა: უშედეგოდ ითხოვს ჰონორარის გადახდას კაფე-ბარების, მაღაზიების და სხვა მოსარგებლეებისგან. შეცდომაში შეიყვანა მცირე ნაწილი, რომელთაგან ერთ-ერთმა სასამართლო მოუგო და უკანონოდ გადახდილი ჰონორარი უკან დააბრუნებინა. უშედეგოდ ცდილობს ჩვენი წევრების გადაბირებას, შეუსაბამოდ დიდი ჰონორარის გადახდის სანაცვლოდ – გადაიბირა მხოლოდ 120-მდე ადამიანი, რაც ჩვენი წევრების დაახლოებით 5%-ია. უშედეგოდ მიმართა სასამართლოს რამდენჯერმე – ვერც ერთი დავა მოიგო. უმეტესობა უკან გაითხოვა. უშედეგოდ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს – სარჩელი წარმოებაშიც კი არ არის მიღებული. უშედეგოდ ავრცელებს ჭორებს, რომ თითქოს დავიხურეთ, გვიყიდეს, ჩვენგან წავიდა 400 წევრი და მსგავსი ბოდვები. ბევრი უშედეგო მცდელობის შემდეგ, დაახლოებით 2 წლის წინ, მიადგა პარლამენტს და მოითხოვა კანონის შეცვლა. ევროპის მსგავსად, ჩვენი კანონითაც, უფლების ერთსა და იმავე კატეგორიაში ერთზე მეტი ორგანიზაციის შექმნა, პარალელური ადმინისტრირება, დაუშვებელია, რადგან ეს ავტორებს აზარალებს. როგორც დაგეგმილი ჰქონდათ, ისე ვერც აქ განვითარდა საქმე. პროცესში ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ჩავრთეთ, რომლებმაც, ზეპირად თუ წერილობით, არაერთხელ გასცეს დეტალური რეკომენდაციები ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპის შენარჩუნების აუცილებლობის და პარალელური ადმინისტრირების დაუშვებლობის შესახებ. საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, საქპატენტმა და პარლამენტმა შეიმუშავა კანონის დრაფტი, რითაც, შემოაქვთ აკრედიტაცია, რაც სწორია, და თითქოს ინარჩუნებენ ერთი ფანჯრის პრინციპს, მაგრამ, ამავდროულად, ხელოვნურად ქმნიან რუსული ორგანიზაციის კანონიერების საფუძველს.

აკრედიტაციის სავალდებულო პირობად აღარ მიიჩნევენ საერთაშორისო რეპერტუარის წარმოდგენას და მხოლოდ ადგილობრივი რეპერტუარის წარმოდგენას თვლიან საკმარისად, რაც, სხვა მიზეზები რომ არ ჩამოვთვალო, დისკრიმინაციაა. არ შეიძლება კანონი უპირატესობას ანიჭებდეს რომელიმე ქვეყნის რეპერტუარს, თუნდაც ადგილობრივს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენთან, და არა მარტო, უცხოური რეპერტუარის გამოყენება გაცილებით დიდია, ვიდრე ქართულის და რამდენიმე ათას ქართველ ავტორთან შედარებით, უცხოელი ავტორები რამდენიმე მილიონია. ამ პირობის ამგვარად შეცვლა სჭირდებათ, რადგან, ჩვენ, ქართულ რეპერტუართან ერთად, წარმოვადგენთ მთელი მსოფლიოს რეპერტუარსაც, განსხვავებით რუსული ორგანიზაციისგან, რომელსაც მხოლოდ ცოტა ქართული და ბევრი რუსული რეპერტუარის წარმოდგენა შეუძლია და თუ ეს პირობა არ შეიცვლება, ბუნებრივია, რომ რუსული ორგანიზაცია უშანსოდ რჩება.



გიგა კობალაძე

რა თქმა უნდა, აქტიურად ვმუშაობთ უცხოელ ექსპერტებთან, რომ, საბოლოოდ, ვერც ამ პირობის შეცვლა შეძლონ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პირობა შეცვალეს, რუსული ორგანიზაციის შანსები ჩვენთან შედარებით მაინც მცირეა, რადგან, როგორც თუნდაც მარტო ქართული რეპერტუარით, ასევე სხვა კრიტერიუმებით, უპირატესობა ჩვენ მხარეზეა. და, აი აქ, შემოდის დამატებითი დაზღვევის მექანიზმი – აუდიტი! თუ აუდიტი დაადგენს, რომ ჩვენთან დარღვევებია, ამით, ერთი მხრივ, მოხდება ჩვენი დისკრედიტირება და, მეორე მხრივ, შეიქმნება აკრედიტაციაზე უარის თქმის დამატებითი საფუძველი, და ბინგო! მაგრამ ხდება პირიქით. აუდიტით დარღვევები ვერ დგინდება, აღარ გამოვრიცხავ ზეწოლის მიუხედავადაც, და რჩება ერთადერთი გზა, მოხდეს მისი შედეგების იმგვარად ინტერპრეტირება, რომ შეიქმნას მძიმე შთაბეჭდილება. აუდიტის შედეგების ინტერპრეტირება იმ რუსული პროპაგანდის გაგრძელებაა, რაც უკვე 4 წელზე მეტია აქტიურად მიმდინარეობს და იმ სერიიდანაა, როცა, მაგალითად, საჯაროდ დამაბრალეს დონბასის რუსულ ბატალიონთან კავშირი, რომ თითქოს ვილაცას რუსეთიდან კონვერტებით ჩამოჰქონდა ჩემთვის ფული, რომ თბილისში მაქვს 22 თუ 27 ბინა, რომ თურმე ვარ მაგნატი, ოღონდ რისი, არ დაუკონკრეტებიათ და ა.შ. ამჯერად, დარღვევად სურთ წარმოაჩინონ ადმინისტრაციული ხარჯის ზრდა, რაც უშინაარსოა. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ზრდა გამოწვეული იყო პანდემიით, რადგან შემოსავლები განახევრდა და ასეთი ზრდა ჰქონდა ყველა ქვეყანას, და იმასაც, რომ ეს ზრდა შეესაბამება დადგენილ და საერთაშორისოდ აღიარებულ წესებს და არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან და იმასაც, რომ ავტორებს მიკუთვნებული ფულით არ ხდება ხარჯების დაფინანსება, ეს საკითხი მხოლოდ ორგანიზაციის გადასაწყვეტია, და რამდენი დაიხარჯება ადმინისტრირებაზე, სახელმწიფოს საქმე არ შეიძლება იყოს. სწორედ ამიტომ, ფინანსურ ანგარიშს, ყოველწლიურად, საერთო კრება ამტკიცებს და არა სახელმწიფო. კოლექტიური მართვის ორგანიზაცია დამოუკიდებელი, კერძო სამართლის იურიდიული პირია, ერთი თეთრითაც არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საქპატენტის დეპარტამენტი არ არის, არც შეიძლება იყოს.

სურთ საზოგადოება დააჯერონ, რომ ვიყიდეთ მანქანა 43 ათას ლარად და ბინა ბათუმში. მანქანა ვიყიდეთ ლიცენზირებისთვის, რის გარეშეც ეს პროცესი შეუძლებელია და გადავიხადეთ არა 43 ათასი ლარი, არამედ 3 268 დოლარი. ბათუმში ვიყიდეთ 43 კვ.მ ოფისი და არა ბინა, აქამდე ბათუმში ოფისი არ გვქონია, რადგან აჭარა ყველაზე მზარდი რეგიონია და ოფისი საჭიროა. სურთ სიმართლედ გაასაღონ, რომ თითქოს მაქვს 20 თუ 25 ათასი ლარი ხელფასი და პირად სარგებლად ჩათვალონ, მაგალითად, დაზღვევა, მივლინება, სასაჩუქრე ვაუჩერი და ა.შ. მათ შორის, ყველაზე სასაცილო, სახელმწიფოს მიერ დადგენილი მანქანით სარგებლობის გადასახადიც კი. ეს ყველაფერი საგადასახადო კანონმდებლობით შეიძლება სარგებლად ითვლებოდეს, მაგრამ ჩვენი და არამარტო ჩვენი საქმიანობის შემადგენელი აუცილებელი ნაწილია. თითქოს არ შეიძლებოდა, სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსება. თითქოს გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რომელიც ისევ სფეროს განვითარებას ხმარდება, თურმე დარღვევაა. აღარ შევჩერდები ისეთ წვრილმანებზე, როგორიც არის საჯარო რეესტრის მიერ ხარვეზის დადგენა, კრებაზე საქპატენტის დაუსწრებლობა, რაც ჩვენი ორგანიზაციის 23-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველი შემთხვევაა და ა.შ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ყველაფერი, რისი დარღვევად წარმოჩენაც სურთ, არის ორგანიზაციის შიდა საქმიანობა, წყდება თვითონ ორგანიზაციის მიერ და მტკიცდება საერთო კრებაზე ყოველწლიურად. ამ სიტუაციაში ერთადერთი სწორი გზა არსებობს – გამარჯვებამდე ბრძოლა! ივნისში იგეგმება კანონის ინიცირება და დაჩქარებულად მიღება. ყველაფერს გავაკეთებ, რომ რუსეთმა ვერ მოიპოვოს კიდევ ერთი გავლენის იარალი და არ გაანადგუროს ჩვენი ის მიღწევები, რაც მსოფლიომ, სწრაფი განვითარების საუკეთესო მაგალითად აღიარა. რუსეთმა ეს უკვე შეძლო უკრაინაში, ყაზახეთში და ახლახან მოლდოვაში. იდენტური სცენარით მოქმედებს აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ჩვენი გუნდის დამსახურებაა, რომ საავტორო უფლებების სფერო, რომლის შესახებაც ცოტამ თუ იცოდა და სადაც უკვე 12 წელია ვმუშაობ, თითქმის ნულიდან განვითარდა და მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების შესაბამისი გახდა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ადვოკატი: „სასამართლო პროცესზე მოწმეების დაკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ გიორგი მუმლაძე უდანაშაულოა“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ადვოკატის, ლაშა ტყეშელაძის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის წევრის, გიორგი მუმლაძის დღევანდელ სასამართლო პროცესზე მოწმეების დაკითხვის შედეგად დადასტურდა დაცვის მხარის პოზიცია, რომ გიორგი მუმლაძე უდანაშაულოა.

ადვოკატის თქმით, ნაციონალური მოძრაობის წევრის დაკავება პოლიციელების მიერ „არაპროპორციული ძალით“ მოხდა.

– დღეს სასამართლო პროცესზე, დაცვის მხარემ დავკითხეთ მოწმეები, დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა დაცვის მხარის პოზიცია, რომ გიორგი მუმლაძე არის უდანაშაულო!

გიორგი მუმლაძეს არაპროპორციული ძალით პოლიციელები აკავებდნენ, რა დროსაც გიორგი მუმლაძემ ველარ შეძლო სუნთქვა, რადგან რამდენიმე პოლიციელი კისრის და ფილტვების მიმართულებით ბოჭავდა, რაც დანაშაულია! ერთადერთი დამნაშავე ამ საქმეში ის პოლიციელებია, ვინც გიორგი მუმლაძეს დაკავების დროს გუდავდა! სასამართლომ პოლიტიკური დავალება არ უნდა შეასრულოს, უნდა ემსახუროს კანონს და გამოიტანოს გამამართლებელი გადაწყვეტილება! – განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადვოკატმა, ლაშა ტყეშელაძემ.

გიორგი მუმლაძის თქმით, საქმე თავიდან ბოლომდე პოლიტიკური ნიშნითაა წარმოებული.




– მოწმეების დაკითხვა დასრულდა, შემდეგი პროცესი 30 მაისს 16:30-ზე იქნება, სადაც მე უნდა დამკითხონ. ასევე, დასკვნითი სიტყვა უნდა თქვან როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარემ და 30 მაისსვე სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს. ეს საქმე, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე არის პოლიტიკური ნიშნით წარმოებული, ვინაიდან „ქართულმა ოცნებამ“ ორი წლის წინ „მოძრაობა საქართველოს“ წევრების მიმართ და იმ ხალხის, ვინც აქტიურად ჩართული ვიყავით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობაში, ამ ხალხის მიმართ ყველაფერი გააკეთა, რომ მაქსიმალური შევიწროებით, მაქსიმალური წნეხით, ჩვენი განეიტრალება მოეხდინათ. თუმცა ეს ვერ მოხერხდა და ვერც მოხერხდება, რა გადაწყვეტილებაც სასამართლომ არ უნდა მიიღოს, ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას და ეს ბრძოლა დასრულდება ჩვენი გამარჯვებით. ამ ქვეყანაში რუსული რეჟიმი უნდა დასრულდეს და ვერანაირი პოლიტიკური მართლმსაჯულება ამ ბრძოლაში შემაფერხებელი ვერ იქნება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი საქმე არის ლუსტრაცია, თუ ბიძინა ივანიშვილი რა მეთოდებს იყენებს თავისი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ და ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ათობით პოლიტიკური პატიმარი გვყავს ციხეში: მიხეილ სააკაშვილი, ნიკა გვარამია, ლექსო რაფავა, გია დათიაშვილი, ძმები წულუკიძეები, ჭელიძეები, ელდარ ანთაძე, ლაზარე გრიგორიადისი. მათი ციხეში ყოფნა ადასტურებს მხოლოდ ერთს, რომ მართლმსაჯულება ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის შემნარჩუნებელ კანტორადაა გადაქცეული და არა სამართლიანობის განმახორციელებელ ორგანოდ. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას და ბრძოლა დასრულდება ჩვენი გამარჯვებით. ამ საქმეს, კონკრეტულად შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, როგორც იურისტმა, როგორც სამართლიანმა ადამიანმა, რომ ჩემს საქმეს სამართალთან არანაირი კავშირი არ აქვს, თავიდან ბოლომდე არის პოლიტიკურად მოტივირებული, – განაცხადა გიორგი მუმლაძემ.



# ვაკეში, კაფე „სტრადაში“ კაცი ჩაცხრილეს

„კურიერის“ ინფორმაციით, გუგა ფირცხალავას შეცდომით ესროლეს. ის სხვა პიროვნებაში შეეშალათ.

დაჭრილი კლინიკაში გადაიყვანეს. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

თვითმხილველების ინფორმაციით, მამაკაცმა რამდენჯერმე გაისროლა და ტერიტორია დატოვა.

# შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფოთის პორტში 80 კილოგრამამდე „ჰეროინი“ ამოიღო. დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ირანის მოქალაქე, 1961 წელს დაბადებული ბ.ტ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის და შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.



როგორც შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა თეიმურაზ კუპატაძემ ბრიფინგზე აღნიშნა, დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის – კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში ფოთის პორტში გამოავლინეს რისკის შემცველი სატვირთო ავტომობილი, რომელსაც ბრალდებული მართავდა. ავტომობილის ჩხრეკისას, მისაბმელის უკანა ორ კარში, სპეციალურად მოწყობილი სამალავიდან – 315 შეკვრად დაფასოებული, 80 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულს, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს განზრახული ჰქონდა ირანიდან სომხეთისა და საქართველოს გავლით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების ევროპაში გადაზიდვა, აღნიშნულის განხორციელებას ის საქართველოს ერთ-ერთი საზღვაო პორტის გავლით ცდილობდა, რა დროსაც იგი დაკავებული იქნა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლებით მიმდინარეობს.

– როგორც მოგეხსენებათ, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის ნათელი მაგალითია გასულ თვეში ჩატარებული ერთობლივი საპოლიციო ღონისძიება ბელგიელ და ჰოლანდიელ კოლეგებთან ერთად, რომლის ფარგლებშიც, ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბელგიის სამეფოში, კერძოდ, ანტვერპენის პორტში ორ ეტაპად ამოღებულ იქნა უპრეცედენტო რაოდენობის 1 ტონა და 660 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი“ – განაცხადა კუპატაძემ.

# ზაზა ლომინაძე: „ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ადამიანები ემიგრაციაში კი არ მიდიოდნენ, არამედ თავისუფალ ბაზარზე უფრო მეტი და მეტი ადამიანი დასაქმდეს“

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა, ბათუმში, გასვლით სხდომაზე, დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების წლიური ანგარიში მოისმინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

მათივე ცნობით, მთავრობის მიერ წარმოდგენილი „დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების 2022 წლის ანგარიში“ კომიტეტის წევრებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, თამილა ბარკალაიამ გააცნო.

– მისი განცხადებით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას და მათ ფართო ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ეს პროგრამები ქვეყნის მასშტაბით, მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას ემსახურება.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, 2020-2022 წლების ფარგლებში: შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულია სამუშაოს 355.987 მაძიებელი, აქედან 2022 წელს, 5.978 აქტიური სამუშაოს მაძიებელი დარეგისტრირდა; ინდივიდუალური კონსულტირება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, მათ შორის, თბილისის რაიონულ სერვის ცენტრებში, სამუშაოს 80.092 მაძიებელს გაეწია. სააგენტოს ხელშეწყობით ღია შრომის ბაზარზე 17 ათასზე მეტი სამუშაოს მაძიებელი დასაქმდა, აქედან 12.645 – 2022 წელს.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, 2022 წელს დაიწყო მნიშვნელოვანი პროგრამის – საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამის ამოქმედება სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირებისთვის. შესაბამისად, სოციალურად დაუცველ 30 ათასამდე სამუშაოს მაძიებელს საზოგადოებრივ სამუშაოებზე მუშაობის შესაძლებლობა მიეცა.

ასევე გერმანიის დასაქმების სააგენტოს მიერ 1.539 პირზე გაიცა სამუშაო ნებართვა გერმანიაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების მიზნით, 18 პირი კი ისრაელში, ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში დასაქმდა, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა ლომინაძის შეფასებით, ყურადღებას უდავოდ იმსახურებს საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამა, რომლითაც სულ უფრო მეტი ადამიანის დაინტერესება ხდება.

– პარლამენტი აქტიურად მუშაობს მეთოდოლოგიაზე, კრიტერიუმების ჩამოყალიბებაზე, ასევე მივიღეთ შრომითი მიგრაციის შესახებ კანონპროექტი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცირდება უმუშევრობა, მაგრამ გვსურს, კიდევ უფრო მეტ შედეგს მივაღწიოთ და ადამიანები ემიგრაციაში კი არ მიდიოდნენ, არამედ თავისუფალ ბაზარზე უფრო მეტი და მეტი ადამიანი დასაქმდეს, – განაცხადა ზაზა ლომინაძემ.

მათივე ინფორმაციით, კომიტეტის გასვლითი სხდომის მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების და სხვა უწყებების წარმომადგენლები.

პარლამენტის პრესსამსახურის ცნობით, კომიტეტმა წარმოდგენილი ანგარიში დადებითად შეაფასა.

# სასტიკი მკვლელობა ქონების დაუფლების მიზნით – კახეთში მომხდარი დანაშაულის ახალი დეტალები

მკვლელობა კახეთში – უზბეკეთის მოქალაქე მეგობარმა მამაკაცმა, სავარაუდოდ, ქონების დაუფლების მიზნით მოკლა და ცხედარი მდინარე იორში დამალა.

გარდაცვლილის ცხედარი მდინარეში გამვლელებმა შენიშნეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ქალს მრავლობითი დაზიანება აქვს მიყენებული, მათ შორის თავის არეშიც.

ქალის ცხედარი დამნაშავემ მდინარე იორში კვალის დაფარვის მიზნით გადააგდო, მაგრამ სავარაუდო მკვლელის ვინაობა მალევე გაირკვა. ის მოკლულის მეგობარი მამაკაცი, გაბრიელ ხოხობაშვილია. გამოძიების ვერსიით, მან ჟანბოტა ტოლებენი სიკვდილისთვის ყოფით ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტის გამო გაიმეტა. მკვლელობის იარაღი ბლაგვი საგანი – აგურია.

„კურიერის“ ინფორმაციით, მკვლელსა და მოკლულს მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებდათ. ერთად ჯერ უზბეკეთში ცხოვრობდნენ, ახლა კი ცხოვრების გაგრძელებას საქართველოში აპირებდნენ. ვრცელდება ვარაუდი, რომ კაცმა ქალი ქონების დაუფლების მიზნით მოკლა.

უმძიმესი დანაშაულის ჩადენისა და ცხედრის მოშორების შემდეგ გაბრიელ ხოხობაშვილი მიიმალა. ის პოლიციამ მალევე დააკავა. გამოძიების პროცესში კი, ბრალდებულმა დანაშაული აღიარა. გაბრიელ ხოხობაშვილს ბრალი ხვალ დაუზუსტდება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში 48 წლის მამაკაცს 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## კალეიდოსკოპი

### 65-მა ქალმა ფოსტით ნახმარი პრეზერვატივები მიიღო



ავსტრალიის ქალაქ მელბურნის პოლიციამ მას შემდეგ დაიწყო გამოძიება, როდესაც მინიმუმ 65-მა ქალმა ფოსტით საიდუმლოებით მოცული პიროვნებისგან ნახმარი პრეზერვატივები მიიღო.

პოლიციელებმა დაადგინეს, რომ უცნაური კორესპონდენციის ყველა მიმღები 1999 წელს მელბურნის ქალთა კერძო კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა. მათმა უმრავლესობამ რამდენიმე წერილი მიიღო და ყველა მათგანში გამოყენებული პრეზერვატივი იდო. გარდა ამისა, წერილებში იდო ხელით ნაწერი გზავნილი, რომელიც სექსუალურ შეთავაზებას და მუქარას შეიცავდა.

დეტექტივ-სერჟანტის გრანტ ლიუისის თქმით, გამოძიება დნმ-ის და ხელნაწერის ანალიზს ატარებს, მათი გამგზავნის ვინაობის დასადგენად. პოლიციამ დაადგინა, რომ მისამართები აღებული იყო 24 წლის წინ შედგენილი გამოსაშვები ალბომიდან. ბევრი წერილი გაგზავნილი იყო ქალების ძველ მისამართზე და ამიტომ ისინი მათმა მშობლებმა მიიღეს.

– ჩვენ არ ვიცით თუ რა აკავშირებს მათ გამგზავნს სკოლასთან. ის შესაძლოა ყოფილი მოსწავლე ან თანამშრომელი იყოს... ან ვიღაცამ იპოვა სანაგვეში გადაგდებული ალბომი და ამით ერთობა, – განაცხადა ლიუისმა.

### ქალს რვა კვერცხი ლატარიის გამარჯვებაში დაეხმარა

61 წლის ტაილანდელმა ქალმა სამანი პლუკჯაიმ ლატარიაში გამარჯვებას სიზმარში მიღებული რჩევის წყალობით მიაღწია.



ქალს დაესიზმრა ხანდაზმული მამაკაცი, რომელმაც ურჩია, რვა კვერცხი და ბრინჯი აელო, ღმერთისთვის შეეწირა და ამის შემდეგ მისი ცხოვრება წარმატებული იქნებოდა.

პლუკჯაიმ ჩათვალა, რომ სიზმარი მას რიცხვებს მიუთითებდა. ხანდაზმული მამაკაცი, მისი აზრით, რიცხვ ათის სიმბოლოს წარმოადგენდა, კვერცხები – ნულს, ამასთან – რვას. იმის მაგივრად, რომ ისინი ღმერთისთვის შეეწირა, ქალმა სიზმარში ნანახი ციფრების მიხედვით შეიძინა ლატარიის ბილეთები და მალევე შეიტყო, რომ ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 12 მილიონი ბატი შეადგინა.

ლატარიის გამარჯვებული მოგებული თანხის ნაწილის ტაძრის მშენებლობისთვის შეწირვას აპირებს, ასევე კიდევ ერთი ნაწილის შვილებისთვის მიცემას და ნაწილით თავისი ხუთი შვილიშვილის სწავლის დაფინანსებას გეგმავს. მოგებული სოლიდური თანხა მას ვალების გასტუმრებაშიც დაეხმარება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# კურტ ვოლკერის სენსაციური განცხადება



კურტ ვოლკერი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსია. პრეზიდენტ ტრამპის გარემოცვაში ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც უკრაინას მხარს უჭერდა. დღესაც ვოლკერი კიევში ხშირად ჩადის. მას უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და უკრაინელ პოლიტიკოსებთან მჭიდრო კონტაქტები აქვს.

ვოლკერის, როგორც კომპეტენტური ექსპერტის, აზრს მთელი მსოფლიო პატივს სცემს, ამიტომ მის შეხედულებებს უკრაინის აწმყოსა და მომავლის შესახებ უდიდესი ყურადღებით უსმენენ. „რბკ-უკრაინასთან" ინტერვიუში ვოლკერი დაწვრილებით შეეხო რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობას და მომავლის ფრიად საყურადღებო პროგნოზიც გააკეთა.

ამერიკელი პოლიტიკოსის აზრით, რუსეთმა ომი უკვე წააგო. ამას ის შემდეგნაირად ასაბუთებს: ისეთი ომები, როგორიც პუტინმა გააჩაღა, სწრაფად უნდა მოიგო; რუსეთს ეს გამოუვიდა საქართველოში 2008 წელს; სამწუხაროდ, მაშინდელმა მსოფლიომ ეს მხოლოდ ცნობად მიიღო; დაუსჯელობამ გაათამამა რუსი აგრესორი და პუტინმაც ქართული სცენარის გამეორება უკვე უკრაინაში სცადა.

ამერიკელი პოლიტიკოსი დაწვრილებით შეეხო უკრაინის მოსალოდნელ კონტრშეტევასაც. მან თქვა, რომ კონტრშეტევა გარდაუვალია და ის აუცილებლად წარმატებული იქნება.

— რუსეთის არმია ქანცგაცლილი და სისხლისაგან დაცლილია! ის მოძველებული სამხედრო ტექნიკითაა აღჭურვილი! რუსი გენერლები საბჭოური ხერხებით მოქმედებენ! შედეგად გვაქვს რუსი ჯარისკაცების ცუდი მომზადება, აგრეთვე სამხედრო ტექნიკისა და იარალის დეფიციტი, — ამბობს ვოლკერი.

ამერიკელი სპეციალისტის აზრით, უკრაინა შეძლებს, როგორც მინიმუმი, თავისი ტერიტორიის დიდი ნაწილის გათავისუფლებას. სავსებით რეალურია ყირიმიდან ოკუპანტების განდევნა. ამით უკრაინა 1991 წლის საზღვრებში აღდგება.

ამავე დროს ამერიკელმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ კონტრშეტევის ტრიუმფით დასრულებაც კი ომის დამთავრებას არ ნიშნავს. სამწუხაროდ, ვლადიმერ პუტინი რუსეთში აბსოლუტურ ხელისუფლებას ფლობს. ამიტომ ის არ გაჩერდება და ომს გააგრძელებს. ეს იმ შემთხვევაშიც კი მოხდება, თუ რუსეთი უდიდეს სამხედრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზიანს მიიღებს.

— უკრაინის მთავრობა და უკრაინელი ხალხი ხანგრძლივი ომისათვის უნდა მოემზადოს! სავარაუდოდ, ის წლების მანძილზე გაგრძელდება, — განაცხადა ვოლკერმა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ამ ეტაპზე უკრაინას არც ნატოში არ მიიღებენ. ეს გასაგებია, რადგან სანამ საომარი მოქმედებები გრძელდება, უკრაინის ნატოში მიღება ნიშნავს ნატოს ჩათრევას ომში. ეს კი არავის სურს. ამ ეტაპზე მოსალოდნელია ნატოსა და უკრაინას შორის ერთგვარი შეთანხმების გაფორმება, რაც უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებას და არმიის შემდგომ სრულყოფას შეუწყობს ხელს. უკრაინის ნატოში მიღება გარდუვალია, მაგრამ ეს ალბათ მხოლოდ 2-3 წლის შემდეგ მოხდება.

## ბახმუტი მთლიანად დაინგრა. ქალაქი უკვე აღარ ექვემდებარება აღდგენას



ბახმუტისათვის ბრძოლები გრძელდება. უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას როგორც ფლანგებზე ისე თავად ბახმუტში. უკრაინელებმა ქალაქში რამდენიმე ქუჩა დაიკავეს. ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ ბახმუტი მთლიანად დაინგრა. სპეციალისტების აზრით, ქალაქი უკვე აღარ ექვემდებარება აღდგენას.

ამ ფონზე ვაგნერელთა ბანდების შეფმა პრიგოჟინმა ფრიად საინტერესო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ბახმუტისათვის ბრძოლას 20.000 ვაგნერელი შეეწირა.

— უკრაინული არმია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. მას გააჩნია შესანიშნავი შეიარაღება და, რაც მთავარია, მაღალი მებრძოლი სული, — თქვა პრიგოჟინმა.

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსეთმა ვერც ავდეევკის და ვერც მარინკის აღება ვერ შეძლო. რაც შეეხება უგლედარის მიმართულებას, იქ ვითარება დასტაბილურდა. ოკუპანტებს აღარ შესწევთ ძალა, რომ უგლედართან ფართომასშტაბიანი შეტევები აწარმოონ. უგლედარის მახლობლად გზები მოფენილია რუსი ჯარისკაცების გვამებით და დამწვარი რუსული ტექნიკით. მდგომარეობა არც სამხრეთის მიმართულებით შეცვლილა. ხერსონზაპოროჟიეს ოლქში რუსები აქტიურ სამხედრო მოქმედებებს არ ახორციელებენ, მაგრამ გრძელდება არტილერიული დუელები რუსებსა და უკრაინელებს შორის. პარალელურად ამას უკრაინელთა პოზიციების დაბომბვაც ერთვის. რაც შეეხება დროებით ოკუპირებულ უკრაინულ ტერიტორიებს, აქ პარტიზანული აქციები არ წყდება. აფეთქებათა სერიები გრძელდება მელიტოპოლში, მარიუპოლში, ბერდიანსკსა და ყირიმში.

## რუსეთმა უკრაინის დაბომბვა კვლავ სცადა



ფრონტებზე წარუმატებლობითა და ბელგოროდის აქციით გაბოროტებულმა რუსეთმა უკრაინის დაბომბვა კვლავ სცადა. საჰაერო განგაში გამოცხადდა კიევის, ჟიტომირის, ჩერნიგოვის, ხარკოვის და დნეპროპეტროვსკის ოლქებში. სულ რუსებმა უკრაინის მიმართულებით 36 დრონი გაუშვეს. მორიგი დაბომბვის ფაქტს თავად პრეზიდენტი ზელენსკი შეეხო. მან თქვა, რომ რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ საჰაერო ტერორი გააჩაღა. წარუმატებელი დაბომბვის პასუხად რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ მედვედევმა მორიგი ექსცენტრიული განცხადება გააკეთა:

— დიახ, დასავლეთის დახმარებით უკრაინამ თავისი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა გააძლიერა! ამავე დროს დასავლეთს ამის თაობაზე ტყუილად უხარია! თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ბირთვულ იარაღს გამოვიყენებთ! — ისტერიულად გაჰკიოდა მედვედევი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# სუპერფინალში თსუ დაწინაურდა

**თსუ-რუსთავი 85:80**
**(25:20; 14:13; 29:17; 17:30)**



სუპერლიგის ფინალურ სერიაში თსუ დაწინაურდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს საქართველოს ჩემპიონობამდე 1 მოგება აკლია. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა უნივერსიტეტის გუნდმა რუსთავი 85:80 დაამარცხა და სერიაში 2:1 გალიდერდა. მოგეხსენებათ, ფინალური სერია 3 მოგებამდე და თსუ-ს არსებობის ისტორიაში პირველ საჩემპიონო ტიტულამდე მოგებაღა აშორებს.

რუსთავი კი რთულ სიტუაციაშია. ანატოლი ბოისას გაწვრთნილ გუნდს წაგების უფლება აღარ აქვს, ხოლო ჩემპიონის ტიტულამდე 2 მოგება სჭირდება. თსუ-ს ზედიზედ ორჯერ დამარცხება რთულია, მაგრამ თუ რუსთავმა ისე ითამაშა, როგორც მესამე მატჩის ბოლო 4 წუთში, მისი შეჩერება რთული იქნება. ფინალური სერიის მე-3 მატჩი გახლდათ კლასიკური შემთხვევა იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა თამაშს მოგებულად ჩათვლი.

თსუ-მა ყველა კომპონენტში აჯობა რუსთავს, ოღონდ მატჩის საწყის 36 წუთში. იმ უპირატესობას, რომელმაც ბოლო პერიოდში 20 ქულას მიაღწია, უნივერსიტეტელები მთელი შეხვედრა აგროვებდნენ და დამსახურებულ გამარჯვებამდეც მიდიოდნენ. შეხვედრის დასრულებამდე 4 წუთზე ოდნავ მეტი იყო, როცა კორი ბოუენის ორქულიანის შემდეგ ანგარიში 81:61 გახდა თსუ-ს სასარგებლოდ. ეს ფაქტობრივად გამარჯვებას ნიშნავდა და საბოლოოდ ასეც მოხდა, თუმცა რუსთავმა კინაღამ სასწაული მოახდინა.

მოგების გარანტიით დაარხეინებული უნივერსიტეტელები მოეშვნენ, საქმე მოთავებულად ჩათვალეს და კინაღამ დაისაჯნენ. ლევან ბაბილოძის, ანზორ ნადირაძის, სამარქაფო ზურაბ ვაშაკიძის და თითქმის ყველა, მოედანზე მყოფი რუსთაველი კალათბურთელის ჩაგდებული ბურთების, თსუ-ს დაცვის მოშლისა და მოულოდნელობის ეფექტის მიზეზით ბოლო წუთნახევარში სხვაობა ელვისებურად შემცირდა და ბოლოსწინა წუთზე 4 ქულა შეადგინა. თსუ-ს მწვრთნელმა წუთშესვენებებით და ტაქტიკური გადაადგილებებით სცადა ვითარების შეცვლა, მაგრამ რუსთავი აგრძელებდა ზეწოლას და აკაკი დვალიშვილის 2-ში 1 ზუსტი საჯარიმოს შემდეგ, საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე ანგარიში 78:81 გახდა.

დვალიშვილმა მეორე, აცილებული საჯარიმოს შემდეგ, ბურთი თავად მოხსნა და ქაოსურად გათამაშების შემდეგ თავადვე მეტოქეს ჩააბარა. რუსთაველებს რომ არ დაეკარგათ და სამქულიანი ჩაეგდოთ, ანგარიშს გაათანაბრებდნენ, მაგრამ ქვემოქართლელებმა მთლად სასწაული ველარ მოახდინეს. ჩაჭრილი ბურთი ბექა ბექაურმა საჯარიმოებით 2 ქულად აქცია, თსუ 5 ქულით დაწინაურდა და გამარჯვება გაინაღდა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო შედეგი ბექა ბექაურს ჰქონდა — 16 ქულა, 7 მოხსნა 3 დაფარება. 16 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი ჯიმონ ჰენსონმა მიითვალა, ხოლო მალკოლმ დრამრაითის ანგარიშზე 14 ქულა, 6 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა. მიხეილ ბერიშვილმა თსუ-ს 12 ქულა, 6 მოხსნა და 3 ჩაჭრა შესძინა. რუსთავში 20 ქულით ბომბარდირი გახდა რევაზ როგავა. მატჩის ერთადერთი დუბლის ავტორი კი ანზორ ნადირაძეა — 14 ქულა, 10 მოხსნა.

რუსთავმა მატჩი სოლიდური დანაკლისით ითამაშა. წინა მატჩში ფეხდაშავებულმა გუგა პატაშურმა მოედანზე გასვლა ვერ მოახერხა. ის, სავარაუდოდ, ვერც შემდეგ მატჩში დაეხმარება რუსთავს, რომელიც თბილისი არენაზე გაიმართება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## გიდმა ნიანგის თავდასხმა გადაიტანა და გადარჩა



დაახლოებით 3,5 მეტრი სიგრძის ნიანგი თავს დაესხა გამოცდილ საფარის გიდს, ყბებით ხელში ჩააფრინდა და მდინარეში ჩაითრია. თუმცა მამაკაცმა გადარჩენა მოახერხა.

მტაცებელი რეპტილიის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც გიდი 52 წლის მარკ მონტგომერი ტურისტების ჯგუფს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელგანთქმულ კრიუგერის ეროვნულ პარკს ათვალიერებინებდა. ჯგუფი შესვენების გასაკეთებლად და სადილისთვის შეჩერდა. გიდი მდინარე მეტსისკენ გაემართა ჩაისთვის წყლის ასაღებად. ამ დროს მდინარიდან უზარმაზარი ნიანგი ამოიჭრა, მამაკაცს კბილებით ხელში ჩააფრინდა და წყლის ფსკერისკენ წაათრია.

მონტგომერი არ დაიბნა, ნიანგს მეორე თავისუფალი ხელი შემოხვია და თითები თვალში ატაკა. იმავდროულად ის ცდილობდა, რეპტილიის ყბების გახსნას და ხელის განთავისუფლებას. მას ესმოდა, როგორ ყვიროდა ხალხი ნაპირზე, მაგრამ იცოდა, რომ ისინი მის დახმარებას ვერ შეძლებდნენ. რაღაც მომენტში ნიანგმა წყალში ტრიალი დაიწყო, ყბები გახსნა და მსხვერპლს თავი ანება. ამის შედეგად მამაკაცმა ნაპირიდან რამდენიმე მეტრში წყლის ზედაპირზე ამოყვინთა, ხელი სტაცა მდინარეში ჩავარდნილი ხის ნაწილს და მისი დახმარებით მდინარის მეორე ნაპირზე მოახერხა ასვლა. მან მდინარეზე გადასასვლელი ფონი მოძებნა და ტურისტების ჯგუფთან დაბრუნდა. ტურისტებმა გიდს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს, შემდეგ კი უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ მას ზედიზედ სამი ოპერაცია გაუკეთდა. ამ დროისთვის მარკ მონტგომერი თავს ნორმალურად გრძნობს და რეაბილიტაციის კურსს გადის.

## 13 წლის გოგონამ ზვიგენის თავდასხმა მოიგერია



ამერიკის ფლორიდის შტატში მეტრნახევარი სიგრძის ზვიგენი 13 წლის გოგონას, სახელად ელი რიდს ორჯერ დაესხა თავს და სერიოზული დაზიანებები მიაყენა.

გოგონა მეგობრებთან ერთად პლაჟის სიახლოვეს თავთხელში იჯდა, როდესაც მოულოდნელად გვერდში მწვავე ტკივილი იგრძნო. აღმოჩნდა, რომ მას ყბებით ზვიგენი ჩაფრენოდა. გოგონამ მტაცებელ თევზს ჩაარტყა და მან პირი უშვა, თუმცა რამდენიმე წამის შემდეგ ისევ თავს დაესხა.

— ზვიგენი თავს არ მანებებდა, ამიტომ იძულებული გავხდი, საქმეში საკუთარი ხელები ჩამერთო მისი თავიდან მოსაშორებლად. ამის შემდეგ კი ის უკვე ხელში ჩამაფრინდა, — იხსენებს რიდი.

გოგონამ მეორედაც მოახერხა თავის მტაცებლისგან განთავისუფლება, ხოლო როდესაც დაინახა, რომ ზვიგენი ისევ აპირებდა მასზე თავდასხმას, საშველად დედას და ძმას უხმო, რომლებიც იქვე, შორიახლოს ისვენებდნენ. გოგონას დედის თქმით, ის გაოგნდა, როდესაც მისი შვილის გვერდით მოცურავე ზვიგენი შენიშნა.

— ეს ნამდვილი სიგიჟე იყო. ჩემი გოგონა თავიდან ფეხებამდე ერთიანად გასისხლიანებული იყო, — ამბობს ბავშვის დედა.

გოგონა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 19 ნაკერი დაადეს მუცელზე, ხელზე, თითსა და მუხლზე. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: ალმაშენებლის №154. ექიმი — მზია. ტელ: 593 44 58 65.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა. ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: ალმაშენებლის №154.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 599 25 44 14. მის: ალმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა — რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# საბურთალომ სამგურალი შეაჩერა და ბათუმის დინამო გალიდერდა

ეროვნულ ლიგაში მე-16 ტური გაიმართა. ახლა ლიდერი ერთპიროვნულია. ტურის ყველაზე გამორჩეული მატჩი კი ქუთაისში გაიმართა, სადაც „ქართული კლასიკო" შედგა.

**ტორპედო-დინამო (თბ) 2:3**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1, 0:2 იმრანი (4, 49), 1:2 კუხიანიძე (62), 2:2 ბულრიძე (66), 2:3 კამარა (90)

**ტორპედო:** გოშაძე, მჭედლიშვილი, ნადარაია, სანდოხაძე, ქობულაძე, სამურკასოვი, გიგაური, არაბიძე, გ.კუხიანიძე (ნეტო 70), ბულრიძე (ფელაი 81), კაიკე (მანჯგალაძე 63)

**დინამო:** კერესელიძე, მაისურაძე (ოდიშარია 73), ხვადაგიანი, ტაბიძე, კობოური, ხარაიშვილი (სიგუა 56), იმრანი, ოსეი (მექვაბიშვილი 56), ვაგნერი (მალი 70), კამარა, მარუშიჩი (სხირტლაძე 70)

ტორპედო-დინამოს დაპირისპირება ამჯერადაც დაძაბული გამოდგა. დინამოელები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ, მერე ტორპედომ ოთხწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიტანა და გაათანაბრა, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ჩემპიონმა მაინც მოახერხა და სამი ქულა მოიპოვა.

დინამო ულად-ომარ იმრანმა შორეული დარტყმით დააწინაურა. მეორე ტაიმის დასაწყისში მანვე გიორგი ხარაიშვილის კარგი პასის შემდეგ გაუტანა ოთო გოშაძეს – 0:2. იმრანს მიმდინარე სეზონში 9 გოლი მოუგროვდა. ამასთან, ბოლო 4 ტურში ზედიზედ გააქვს.

62-ე წუთზე გიორგი კუხიანიძემ ირაკლი ბულრიძის გარღვევისა და პასის მერე ახლოდან გაიტანა, ხოლო ოთხ წუთში თავად ბულრიძემ დამატებაზე ითამაშა კარგად – გიორგი არაბიძის დარტყმის შემდეგ მეკარე დავით კერესელიძის მოგერიებულ ბურთს დაამატა – 2:2.

ორმხრივი შეტევები იყო, ხოლო დამატებულ წუთებზე არბიტრმა ჯენერი ხორავამ ვარ-ზე გადამოწმების მერე პენალტი დანიშნა მასპინძელთა კარში. იქ ტორპედოელი გიორგი ქობულაძის ხელით თამაში დააფიქსირა. უსმანე კამარამ პენალტი ზუსტად შეასრულა და 2:3...

ეს იყო შოტლანდიელი მწვრთნელის სტივ კინის სადებიუტო მატჩი ტორპედოს მწვრთნელის რანგში. ქუთაისელებმა ზედიზედ მესამედ წააგეს და მეექვსე ადგილზე არიან. მოქმედი ჩემპიონი კი ისევ მეოთხე პოზიციაზეა.

კონკრეტულად საქართველოს ჩემპიონატში დინამო თბილისსა და ტორპედოს შორის ურთიერთშეხვედრების სტატისტიკა ასეთია: 87 მატჩიდან 48 დინამომ მოიგო, 17 ტორპედომ, ხოლო 22 ფრედ დასრულდა.

**დინამო (ბთ)-თელავი 2:0**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0, 2:0 ფლამარიონი (35, 90)

**დინამო:** ჩიჩკანი, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი (რეხვიაშვილი 46), გიორბელიძე (ჩაბრაძე 61), მოსიაშვილი (ზარია 68), ალთუნაშვილი (ლიტვინენკო 83), ღუდუშაური, ვიდაკოვიჩი (ტეიდი 46), ფლამარიონი, კონატე

**თელავი:** ბ.ქურდაძე, რომი, გიგაშვილი (ო.გაგნიძე 84), ვ.ფაცაცია, კრისტიანი, ვიტინიო, ცნობილაძე, აშორტია (ყიფიანი 46), ფირანაშვილი (ქოჩლაძე 69), ლ.კოხრეიძე (ომარაშვილი 69), მბომბო (ყაველაშვილი 69)

დინამო ბათუმმა ჟოვინო ფლამარიონის დუბლით სძლია თელავს – 2:0. ამ გამარჯვების შემდეგ ბათუმელები სამქულიანი ფორით ლიდერობენ.

ჟოვინომ ორივე გოლი მუსა კონატეს პასით გაიტანა. ბრაზილიელს 11 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირთა დავაში პირველია.

თელავს რაც შეეხება, მერვე ადგილზე დარჩა.

**საბურთალო-სამგურალი 5:1**

**რუსთავი. სფფ ტექნიკური ცენტრი**

1:0 ნონიკაშვილი (25), 2:0 სილა (57), 2:1 ჯინჯოლავა (71), 4:0 სილაგაძე (84), 4:1 ჩიხრაძე (88), 5:1 ციცქიშვილი (90)

23-ე წუთზე სილამ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**საბურთალო:** კუპატაძე, ც.კაპანაძე, ი.გელაშვილი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ქარდავა, ო.მამაგეიშვილი (შ.ნონიკაშვილი 73), ლ.ნონიკაშვილი (გოშთელიანი 66), გ. მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 73), ტაბატაძე (სილაგაძე 80), სილა (სიხარულიძე 73)

**სამგურალი:** ყალიჩავა, ა.ვერულიძე (კიკაბიძე 46), მაისაშვილი, პატარკაციშვილი, კალანდარიშვილი, ლომინაძე (ჩიხლაძე 65), არტური, ნ.ხორხელი (კაგაიამა 46), ლ.ხორხელი (ჯეფინიო 61), გომესი, ნიქაბაძე (ჩიხრაძე 61)

საბურთალო უკვე მეორე ადგილზე გადავიდა. გუნდი მეორე წრეს მშვენივრად ატარებს და წყალტუბოს სამგურალსაც დაუმთავრა მშვენიერი სერია: 9-მატჩიანი წაუგებელი, საიდანაც წყალტუბოელებმა 8 მოიგეს და მხოლოდ ერთხელ ითამაშეს ფრედ.

23-ე წუთზე გიორგი ჯინჯოლავას აქტიურობასა და ომარ პატარკაციშვილის ხელით თამაშს პენალტი მოჰყვა, მაგრამ საბურთალომ ეს ვერ გამოიყენა: შეიკნე სილას დარტყმული ნოდარ ყალიჩავამ მოიგერია და დამატებაზე გიზო მამაგეიშვილსაც აუღო.

თუმცა გავიდა ორიოდე წუთი და გიზო მამაგეიშვილის პასს ლევან ნონიკაშვილის ზუსტი დარტყმა მოჰყვა – 1:0. მეორე ნახევარში კი, სილამ მაინც გაუტანა სამგურალს და ეს მალელის მეექვსე გოლია სეზონში.

71-ე წუთზე ჯინჯოლავამ მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმით 3:0 გახადა ანგარიში. ბოლო წუთებში კიდევ გავიდა გოლები: ჯერ ლუკა სილაგაძემ ჩახვეული დარტყმით სეზონში მეექვსე გოლი გაიტანა; მერე სამგურალმა მოახერხა ანგარიშის შემცირება – შეცვლაზე შესულმა ლადო ჩიხრაძემ კარგად შეასრულა. ჩიხრაძისთვისაც მეექვსე გოლია სეზონში; და ბოლოს, ზაზა ციცქიშვილმაც მშვენიერი გოლი მიითვალა: ორ მცველს გასცდა, პაუზა და ცაციით დაბალ კუთხეში.





საბოლოოდ 5:1. საბურთალო სამგურალს გაუთანაბრდა ქულებით და ბურთების შეფარდებით გაუსწრო.

**დილა-გაგრა 1:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ეტოუ (60)

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ეტოუ, ძოწენიძე, სილვა, ნ.გაგნიძე, ჟან ვიქტორი, მახარობლიძე (ასამოა 76), გომისი, გეილი (ცეცხლაძე 90), კოვტალიუკი (გაფრინდაშვილი 81)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ლ.ნოზაძე, კაკუბავა, ნემსაძე, სულთანიშვილი (ფრატეა 87), კაკაშვილი (ჟორდანია 61), შუბითიძე (ჩაგანავა 75), შონია (ლომთაძე 61), მარკონდელე (ოდიშელიძე 61), მუსელიანი

გორის დილამ კონგოელი რომარიკ ეტოუს გოლით მოუგო გაგრას. საჯარიმო დაინიშნა, რევაზ ჩიტეიშვილმა ჩააწოდა, იქ ნიკა გაგნიძემ თავით მეკარის ბაქანთან გადააგდო ბურთი და ეტოუმ დასწრებაზე გაიტანა.

კიდევ იყო მომენტები, სულაც ბოლო წამებზე გაგრას ნახევარმცველმა ჩაგანავამ ხარიხას მოარტყა ბურთი.

დილას 8-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ამ 8-დან 6 შეხვედრა მოიგო. ანდრი დემჩენკოს გუნდი მეხუთე ადგილზეა, მაგრამ მეორეადგილოსანს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. გაგრა კი მეშვიდე საფეხურზეა.

**შუქურა-სამტრედია 2:2**

**თბილისი. იღია ჯოჯაიას ცენტრი**

1:0 მზვაკალი (10), 1:1 ჩარგეიშვილი (62), 2:1 მზვაკალი (68), 2:2 კილასონია (86პ)

**შუქურა:** კულუა, რ.ჩაჩუა, ლ.ქურდაძე, კასრაძე, გაზდელიანი (ს.გელაშვილი 90), ჯანელიძე, ანდრონიკაშვილი, ც.ფაცაცია (ლექვთაძე 62), სარდალიშვილი, მზვაკალი, მუჯირი

**სამტრედია:** ლომიძე, უბილავა, გვიშიანი (იოსელიანი 70), აბულაძე, ბოჭორიშვილი (კილასონია 70), ოლატუნჯი (ექვთიმიშვილი 70), ხმალაძე, დ.კირკიტაძე (ინჯგია 89), პაპუნაშვილი, ნაჭყებია, რობაქიძე (ჩარგეიშვილი 46)

ბოლოსწინაადგილოსნისა და აუტსაიდერის დაპირისპირება ფრედ დასრულდა. შუქურას ახლა ცხრამატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, სამტრედიას – ექვსმატჩიანი.

შუქურა მალე დაწინაურდა: სამხრეთაფრიკელმა ბანტუ მზვაკალმა გიორგი ჯანელიძის პასი გამოიყენა, წინ გამოსული მეკარე რეზო ლომიძე მოატყუა, პაუზაც კარგი გააკეთა და ახლოდან გაიტანა.

სამტრედიამ 62-ე წუთზე გაათანაბრა, შეცვლაზე შესულმა ვანო ჩარგეიშვილმა დასწრებაზე ითამაშა და კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა.

გავიდა რამდენიმე წუთი და მზვაკალმა დუბლი შეასრულა: საჯარიმოს გარედან ცხრიანში დაარტყა – 2:1.

ბოლოს კი პენალტი დაინიშნა შუქურას კარში და სამტრედიელთა მცველმა ვარლამ კილასონიამ გამოიყენა – 2:2.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 16 | 10 | 5 | 1 | 35-18 | 35 |
| 2.საბურთალო | 16 | 9 | 5 | 2 | 35-18 | 32 |
| 3.სამგურალი | 16 | 10 | 2 | 4 | 26-20 | 32 |
| 4.დინამო (თბ) | 16 | 9 | 4 | 3 | 39-24 | 31 |
| 5.დილა | 16 | 8 | 6 | 2 | 23-13 | 30 |
| 6.ტორპედო | 16 | 5 | 5 | 6 | 14-19 | 20 |
| 7.გაგრა | 16 | 2 | 5 | 9 | 15-28 | 11 |
| 8.თელავი | 16 | 2 | 5 | 9 | 11-27 | 11 |
| 9.შუქურა | 16 | 2 | 3 | 11 | 20-34 | 9 |
| 10.სამტრედია | 16 | 2 | 2 | 12 | 13-30 | 8 |

## შედეგები

**24 მაისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-სიტი ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 37 | 28 | 5 | 4 | 94-32 | 89 |
| 2.არსენალი | 37 | 25 | 6 | 6 | 83-43 | 81 |
| 3.ნიუკასლი | 37 | 19 | 13 | 5 | 67-32 | 70 |
| 4.მანჩესტერი | 36 | 21 | 6 | 9 | 52-41 | 69 |
| 5.ლივერპული | 37 | 19 | 9 | 9 | 71-43 | 66 |
| 6.ბრაიტონი | 37 | 18 | 8 | 11 | 71-51 | 62 |
| 7.ასტონ ვილა | 37 | 17 | 7 | 13 | 49-45 | 58 |
| 8.ტოტენჰემი | 37 | 17 | 6 | 14 | 66-62 | 57 |
| 9.ბრენტფორი | 37 | 14 | 14 | 9 | 57-46 | 56 |
| 10.ფულემი | 37 | 15 | 7 | 15 | 54-51 | 52 |
| 11.კრ.პალასი | 37 | 11 | 11 | 15 | 39-48 | 44 |
| 12.ჩელსი | 36 | 11 | 10 | 15 | 36-42 | 43 |
| 13.ვულვზი | 37 | 11 | 8 | 18 | 31-53 | 41 |
| 14.ვესტ ჰემი | 37 | 11 | 7 | 19 | 41-53 | 40 |
| 15.ბორნმუთი | 37 | 11 | 6 | 20 | 37-70 | 39 |
| 16.ნოტინგემი | 37 | 9 | 10 | 18 | 37-67 | 37 |
| 17.ევერტონი | 37 | 7 | 12 | 18 | 33-57 | 33 |
| 18.ლესტერი | 37 | 8 | 7 | 22 | 49-67 | 31 |
| 19.ლიდსი | 37 | 7 | 10 | 20 | 47-74 | 31 |
| 20.საუთჰემპტონი | 37 | 6 | 6 | 25 | 32-69 | 24 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-კადისი ................ 2:0

რეალი-რაიო ................ 2:1

ელჩე-სევილია ................ 1:1

ბეტისი-ხეტაფე ................ 0:1

ესპანიოლი-ატლეტიკო ................ 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 27 | 4 | 5 | 66-18 | 85 |
| 2.რეალი | 36 | 23 | 5 | 8 | 73-36 | 74 |
| 3.ატლეტიკო | 36 | 22 | 7 | 7 | 66-30 | 73 |
| 4.სოსიედადი | 36 | 20 | 8 | 8 | 48-32 | 68 |
| 5.ვილიარეალი | 36 | 19 | 6 | 11 | 56-36 | 63 |
| 6.ბეტისი | 36 | 16 | 8 | 12 | 43-39 | 56 |
| 7.ბილბაო | 35 | 14 | 8 | 13 | 46-39 | 50 |
| 8.ხირონა | 36 | 13 | 10 | 13 | 56-51 | 49 |
| 9.სევილია | 36 | 13 | 10 | 13 | 45-50 | 49 |
| 10.ოსასუნა | 35 | 13 | 8 | 14 | 32-39 | 47 |
| 11.რაიო | 36 | 12 | 10 | 14 | 43-49 | 46 |
| 12.მალიორკა | 35 | 12 | 8 | 15 | 33-40 | 44 |
| 13.ვალენსია | 35 | 11 | 7 | 17 | 39-41 | 40 |
| 14.სელტა | 36 | 10 | 10 | 16 | 41-51 | 40 |
| 15.ალმერია | 36 | 11 | 6 | 19 | 46-62 | 39 |
| 16.კადისი | 36 | 9 | 11 | 16 | 28-52 | 38 |
| 17.ვალიადოლიდი | 36 | 11 | 5 | 20 | 33-63 | 38 |
| 18.ხეტაფე | 36 | 9 | 11 | 16 | 32-44 | 38 |
| 19.ესპანიოლი | 36 | 8 | 11 | 17 | 47-64 | 35 |
| 20.ელჩე | 36 | 4 | 9 | 23 | 28-66 | 21 |

**იტალია. თასი**

**ფინალი**

ინტერი-ფიორენტინა ................ 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ჯროსვორდი ბ



**შვეულად:** თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 2. ელექტრონული საშუალებებით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 3. რაჭალეჩხუმის ძველი სახელწოდება; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 5. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ხეობა კახეთში; 11. ხელოვნური არხების სახელწოდება შუა აზიაში; 12. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი ქალაქი ჩინეთში; 13. ხავერდის მსგავსი ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 14. ტაოს კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 15. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 17. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 19. კატარის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 5. ოდესის ძველი სახელწოდება; 6. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი მასალა; 8. ალიასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 9. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 10. ნიადაგში ბოძების ჩასარჭობი მექანიკური მოწყობილობა; 11. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 13. შტატი აშშ-ის აღმოსავლეთში; 14. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 16. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 18. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 20. ქვიანი და ქვიშიანი ნიადაგი; 21. ქართველი ველომრბოლელი, მსოფლიო ჩემპიონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კურვუაზიე; 2. ბანდიტი; 3. გინესი; 4. პლაკე; 5. ქსენძი; 11. კენკრა; 12. ბუტიკი; 14. დუყი; 16. პარსეკი; 17. იშტვანი; 19. თერაპია; 21. მტილი; 22. ტოსკა.

**თარაზულად:** 6. მურყვამი; 7. ბალანსი; 8. კუკნა; 9. შულერი; 10. სარკე; 13. სიმღი; 15. აპლიკატურა; 18. ბასკეთი; 20. შოთი; 21. მიზერი; 23. მიკროსკოპი; 24. ნოველა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მერანო; 2. კიბუცი; 3. გაუტამა; 4. ლიკეუმი; 5. სეპტიმა; 7. სამსალა; 11. შარმი; 12. ბისტრო; 13. კოლიზია; 14. კორტესი; 15. კოიოტი; 17. ნაბობი; 19. ლოქო.

**თარაზულად:** 5. სომელიე; 6. რევანში; 8. ცემი; 9. სანდუ; 10. იუმორი; 11. შაპი; 13. კარნავალი; 14. კურსი; 16. ანეტო; 18. სპილო; 20. სანქცია; 21. ტყიბული.

## ტომას მიულერს ბაიერნიდან წასვლა სურს



მიუნხენის ბაიერნის ფორვარდს ტომას მიულერს გუნდის დატოვება სურს, რადგან ის ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება და ტომასი თვლის, რომ მას შეუძლია სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში. მიულერმა თქვა, რომ მას პრემიერ ლიგაში სურს თამაში და შეეცდება, რომ თავისი სურვილი რეალობად აქციოს. შესაძლოა მიულერი მანჩესტერ იუნაიტედში ვიხილოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა
akhalitaoba.ge

26 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5876

ევრო — 2.7752

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1985

100 რუსული რუბლი — 3.2357

## ამინდის პროგნოზი 26 მაისისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟორდი ალბა ბარსელონას დატოვებს



ბარსელონას მცველი ჟორდი ალბა სეზონის ბოლოს, ან უკვე ივნისში ბარსელონას დატოვებს და თვითონ ჟორდიმ ეს ინფორმაცია დაადასტურა. ალბას თქმით, მან ბარსელონაში დიდებული 11 წელიწადი გაატარა და ამ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო. ბარსელონამდე ჟორდი 5 წლის მანძილზე ვალენსიის ღირსებას იცავდა და წლების მანძილზე ის ესპანეთის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო. ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს ის კარიერას.

## დი მარია: „იუვენტუსს უსამართლოდ ექცევიან“



იუვენტუსს ისევ დააკლეს ქულები და ამჯერად მათ 10 ქულის დაკლება აკმარეს. ბუნებრივია, ამის შემდეგ იუვენტუსი ოთხეულს დაცილდა და მათ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი აღარ აქვთ. იტალიური გუნდის ფორვარდი ანხელ დი მარია თვლის, რომ იუვენტუსს უსამართლოდ ექცევიან: „უკვე მეორედ მოხდა ეს შემთხვევა და არ მესმის, ფეხბურთელები რატომ უნდა დავისაჯოთ. ვთვლი, რომ უსამართლოდ გვექცევიან და ჩვენს უფლებებს არღვევენ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## 20 ფუნტად შეძენილი ჭურჭელი ძვირადღირებული რელიქვია აღმოჩნდა



ორი 11 სანტიმეტრიანი ფაიფურის ჭურჭელი, რომელიც ლონდონში საქველმოქმედო მაღაზიაში იაფად იქნა შეძენილი, ცინის იმპერიის ფასდაუდებელი რელიქვიები აღმოჩნდა.

კერამიკის თავგადაკლულმა კოლექციონერმა ორივე ჭურჭელი 20 ფუნტ სტერლინგად შეიძინა, ისე რომ, მათი ნამდვილი ღირებულება მისთვის ცნობილი არ ყოფილა. მან მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინა მათზე ცინის იმპერატორ ციანილუნის ექვსნიშნა შტამპი, რომელიც ქვეყანას მე-18 საუკუნეში მართავდა. ამის შემდეგ გადაწყვიტა მამაკაცმა, ისინი სპეციალისტისთვის ეჩვენებინა და აუქციონის სახლში მიიტანა. სპეციალისტი მათი დათვალიერების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი ღირებულება შესაძლოა 60 ათას დოლარს აღემატებოდა. აუქციონზე მსგავსი ლოტები ადრეც გაუტანიათ გასაყიდად და ისინი ყოველთვის დიდ აჟიოტაჟს იწვევდნენ. 2021 წელს ფაიფურის ჭურჭელი ლონდონში სოტბის აუქციონზე 350 ათას დოლარად გაიყიდა.

ჩინური საიმპერატორო ფაიფურის ნაწარმი იშვიათობას წარმოადგენს, ვინაიდან ისინი მხოლოდ საიმპერატორო სახლისთვის მზადდებოდა. ფაიფურის ჭურჭლების ამჟამინდელი მფლობელი მათ აუქციონზე გასაყიდად გატანას აპირებს, ხოლო მიღებული თანხის ნაწილს იმ საქველმოქმედო მაღაზიას შესწირავს, სადაც ისინი შეიძინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი

ოსს კბილის ექიმი ეუბნება:
– წადი და სახლში ერთ თვის მანძილზე ყოველდღე ვაშლი ჭამე, რომ კბილები გაგიმაგრდეს.

ერთი თვის მერე ოსი ისევ მივიდა ექიმთან და ეუბნება:
– სენი წილიმე ექიმო, ლოგოლც სენ დამალიგე, ყოველდღე ვაშლს ვჭამდი.
– და როგორ ჭამდი, დაჭრილს თუ მთლიანს?
– ცოლი მიხეხავდა.

•••

კაცის მეზობლად კარგი შესახედაობის, მაგრამ ჭკუანაკლული ქალი ცხოვრობს. ერთხელაც მისი მშობლები სხვაგან წავლენ და მეზობელს სთხოვენ, რომ ქალს ყურადღება მიაქციოს. სალამოთი უკან დაბრუნებულები ხედავენ, კაცს შარვალი ჩახდილი აქვს, ქალი კი მის სიმდიდრეს ათამაშებს. მიცვივდებიან წივილ-კივილით:
– შე სასიკვდილე, რას შვრები... ეს რა მიგიცია...
– თქვე შობელძაღლებო, მა მაკრატელს ხომ არ მივცემდი, თვალი რომ გამოეთხარა?!

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– გოგონი, ერთი ნახვით შეყვარების გჯერათ?
– არა.
– მაშინ კიდევ ერთხელ შემომხედეთ...

•••

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს შეკვეთას აძლევს:
– ერთი ჭიქა არაყი, ბოკალი ღვინო, ჭიქა კონიაკი, ფუჟერი შამპანური, კათხა ლუდი და ჩაი, მხოლოდ ჩაი მაგარი არ იყოს, სუსტი გული მაქვს!

•••

სამსახურში მყოფ ქმარს ცოლი ურეკავს და ეუბნება:
– ძვირფასო, თავის დაბანას ვაპირებ, ჩემი თმის გელი გამთავებია და შენი სად გაქვს შენახული?
– ქალო, თავზე თმა არ მაქვს და თმის გელი რა ჩემ ფეხებად მინდა.

•••

ექიმმა მამაკაცს შაქრის დიაბეტი დაუდგინა და ეუბნება:
– თქვენთვის აღარ შეიძლება ტკბილეული, ცომეული, კარტოფილი, მაკარონი...
– და ექიმო, სექსი შეიძლება?
– ცოლთან კი.
– და საყვარელთან?
– არა, ხომ გითხარი, შენთვის ტკბილეული აკრძალულია!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## მატილდა გვარლიანი გუჩის ჩვენებაზე გამოვიდა



ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მსოფლიო მოდის სამყაროში კარგად არის ცნობილი. ლამაზმანი არაერთი ცნობილი დიზაინერის ჩვენებებში იღებს მონაწილეობას.

„ლუქ მოდელს მენეჯმენტის“ მოდელმა ამჯერად გუჩის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. მოდის მოყვარულებისა და კრიტიკოსებისთვის პოდიუმზე მოდელებმა 2023 წლის საკრუიზო კოლექცია წარადგინეს.

## ნუცა ბუზალაძემ ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში იმღერა



მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკაში იმღერა, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

„ამერიკის ვარსკვლავის“ მონაწილე ერთადერთმა უცხოელმა კონკურსანტმა შეკრებილი საზოგადოებისთვის საქართველოსა და ამერიკის სახელმწიფო ჰიმნები არაჩვეულებრივად შეასრულა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ნუცას ვიდეოები ინტერნეტში გავრცელდა და მათ ათასობით დადებითი კომენტარი, მოწონება და გაზიარება აქვს.

## ანსამბლ „ხორუმის“ წევრები ისრაელის გასტროლიდან უკან აღარ დაბრუნდნენ



ანსამბლმა „ხორუმმა“ ისრაელში გასტროლი გამართა. გასტროლიდან ანსამბლის 3 წევრი სამშობლოში აღარ დაბრუნდა.

ამის შესახებ ინფორმაცია ტვ 25-მა გაავრცელა. მათივე თქმით, „ხორუმის“ წევრები გასტროლზე სწორედ ამ მიზნით წავიდნენ.

## დავით შემოქმედელს ილია ჭავჭავაძის პრემია და ოქროს მედალი გადაეცა





პოეტს, პროზაიკოსსა და ესეისტს დავით შემოქმედელს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და ილია ჭავჭავაძის სახელობის ოქროს მედალი გადაეცა.

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს ეს მეტად ღირსეული ჯილდო ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიენიჭა.

## ლიზი რამიშვილი და თემურიკო დიასამიძე ერთობლივ კონცერტს გამართავენ




ჩელისტი ლიზი რამიშვილი და მუსიკოსი თემურიკო დიასამიძე ერთობლივ კონცერტს გამართავენ. ოთარ რამიშვილის შვილიშვილი და ნიაზ დიასამიძის შვილი მსმენელს 27 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ეპატიჟებიან.

„მზემ სიყვარულს ბგერა უსურვა“ – ასე ეწოდება მუსიკალურ პროექტს, რომელშიც ლიზისა და თემურიკოსთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ პიანისტი ლუკა თოფურია, ეროვნული სიმფონიური ორკესტრის დასარტყამების ჯგუფის სექცია ვადიმ შიშკინის, გიორგი გვეტაძისა და მარიამ მაკარაშვილის შემადგენლობით.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში კლასიკური ნაწარმოებების, ელექტრონული მუსიკის და საავტორო ტექსტის სინთეზი იქნება წარმოდგენილი – ახალი თაობის გამორჩეული ქართველი არტისტების კოლაბორაცია ეროვნული სიმფონიური ორკესტრის დასარტყამების ჯგუფის სექციასთან ერთად, რომელიც განსხვავებულ მუსიკალურ ფაქტურასა და კლასიკურ ნაწარმოებებს გააერთიანებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 26 მაისისათვის

**ვერძი** – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **მორიელი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. სალამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. სლოვენიის ნაკრებისა და „დალასის“ კალათბურთელი; 3. ყველაზე დიდი ქალაქი ბასკეთში; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 5. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 11. ტბა შვეიცარია-იტალიის საზღვარზე; 12. ნოტიო-თიხნარი ნიადაგი; 14. ყველაზე ღრმა ტბა საქართველოში; 16. მესაქონლეობის ფერმის მფლობელი სამხრეთ ამერიკაში; 17. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 21. ხის, მეტალის დამამუშავებელი დანადგარი; 22. ლუკ ბესონის თრილერი.

**თარაზულად:** 6. ჩინური ფაიფური; 7. გურიაში გავრცელებული ვარდისფერ ყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; 9. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისთვის; 10. სამშობაო სიმღერა; 13. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 15. ისტორიული მოედანი ლონდონში; 18. სახალხო მთქმელი, პოეტი-მომღერალი უკრაინაში; 20. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 21. ღვინის ძველებური საწყაო საქართველოში, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 23. ურთიერთდათმობით მიღებული შეთანხმება; 24. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული ინდაური.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

